ახალი განათლება

2011 წელი, 30 ივნისი

ფასი 1 ლარი

№25 (539) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრები

გამოცდები 2011

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში

გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2011 წლის 6, 7 და 8 ივლისს, უკვე მეორედ, ჩატარდება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა პროფესიულ უნარებში.

სასერტიფიკაციო გამოცდისათვის მზადების პროცესში პედაგოგთა ხელშეწყობის მიზნით, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2008 და 2010 წელს გამოსცა ორი კრებული „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის – პროფესიული უნარები“. ორივე კრებული მოიცავს ტესტურ დავალებათა ნიმუშებსა და რეკომენდაციებს. პირველ კრებულში ტესტური დავალებების გარდა, დანართის სახით, წარმოდგენილია სტანდარტით განსაზღვრული სწავლებისა და განვითარების თეორიების ძირითადი დებულებები. ორივე კრებულის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე.

ამჯერად ჩვენი მიზანია, მოგაწოდოთ ინფორმაცია 2011 წლის პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო ტესტში შესული ცვლილების შესახებ. როგორც თქვენთვის ცნობილია, პროფესიული უნარების სასერტიფიკაციო ტესტი მოიცავს ე.წ. სიმულაციურ დავალებას. ამ ტიპის დავალება განსხვავებული ფორმატისაა და რეალური სიტუაციის სიმულაციას გულისხმობს. დავალების პირობა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოიცავს (დოკუმენტები, წერილები და სხვ.) და აპლიკანტისაგან სიტუაციის კომპლექსურ შეფასებასა და პრობლემის გადასაჭრელად გარკვეული აქტივობების დაგეგმვას მოითხოვს. გასულ წელს ამ ტიპის დავალებაში (დავალება „საქაღალდე“) წარმოდგენილი იყო ერთი კონკრეტული პედაგოგის პრობლემების ამსახველი დოკუმენტების შემცველი საქაღალდე და მასში მოცემულ მასალაზე დაყრდნობით აპლიკანტს უნდა გაეანალიზებინა პედაგოგის წინაშე არსებული ესა თუ ის პრობლემა და წარმოედგინა მისი გადაჭრის გზები.

წლევანდელ სასერტიფიკაციო ტესტში შესულია სიმულაციური დავალება „ფორუმი“. შარშანდელი ანალოგიური დავალებისაგან განსხვავებით, იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ინტერნეტფორუმზე გამოქვეყნებული პრაქტიკოსი პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების წერილების (ე.წ. პოსტების) ნაკრებს. შარშანდელი ანალოგიური დავალებისაგან განსხვავებით, ეს დავალება არ მოითხოვს აპლიკანტისაგან პრობლემის იდენტიფიცირებას. თითოეულ წერილში პრობლემა განსაზღვრულია და ამოტანილია წერილის სათაურში. ამდენად, დავალება აპლიკანტისაგან მოითხოვს უკვე დასახელებული პრობლემის გადასაჭრელად კონკრეტული აქტივობის (სტრატეგიის) აღწერას და, პრობლემის არსიდან გამომდინარე, მისი ეფექტიანობის დასაბუთებას. ზოგ დავალებაში მითითებულია ორი პრობლემა, რომლებიც, შესაბამისად, ორი აქტივობის (სტრატეგიის) აღწერასა და მათი ეფექტიანობის ცალ-ცალკე დასაბუთებას ითვალისწინებს. ერთ-ერთი დავალება მოცემულია დიალოგის სახით, რომელიც ერთ პრობლემაზეა ფოკუსირებული. სიმულაციური დავალება შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ, თუ როგორ ერკვევა მასწავლებელი სკოლაში წამოჭრილი ტიპური პრობლემების არსში და რა გზებს აირჩევს მათ დასაძლევად, რამდენად დამაჯერებლად შეძლებს აღწერილი აქტივობის (სტრატეგიის) ეფექტიანობის დასაბუთებას. არის ისეთი დავალებაც, რომელიც განსაზღვრული პრობლემის გადაჭრაზე მიმართული აქტივობის აღწერის ნაცვლად, მოითხოვს მხოლოდ დამაჯერებელ არგუმენტაციას.

გვერდი 3

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გამოცდები 2011

სიმულაციური დავალება „ფორუმი“-ის ნიმუში

დავალების პირობა:

პედაგოგთა ინიციატივით ინტერნეტსივრცეში საგანმანათლებლო ვებგვერდი შეიქმნა, სადაც თავმოყრილია საინტერესო სტატიები და სასარგებლო რესურსები. ვებგვერდი ინტერაქტიულია – ინტერნეტფორუმის საშუალებით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ საკუთარი მოსაზრებებისა და გამოცდილების სხვებისთვის გაზიარებაც.

ვებგვერდის დამფუძნებლების აზრით, ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე, პრაქტიკოს პედაგოგებსა და ექსპერტებს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას.

ვებგვერდმა მოკლე დროში მოიპოვა პოპულარობა, მას მშობლები და უფროსკლასელი მოსწავლეებიც სტუმრობენ. ფორუმზე აქტიური დისკუსიები იმართება მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მიერ წამოჭრილ პრობლემებზე.

ქვემოთ მოცემულია ამონარიდები ფორუმზე განთავსებული წერილებიდან. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული წერილი და გაიაზრეთ მათში აღწერილი პრობლემის არსი.

წარმოიდგინეთ, რომ პედაგოგის, მშობლის ან მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემები თქვენს კლასს ეხება. აღწერეთ, **რას გააკეთებდით თქვენ, როგორც პედაგოგი ამ პრობლემის მოსაგვარებლად. შეეცადეთ, პასუხი იყოს კონკრეტული და ამომწურავი.**

შეასრულეთ დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

- **აღწერეთ** ერთი კონკრეტული სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ წერილში მოცემული პრობლემის მოგვარებაში.
- **დაასაბუთეთ** თქვენ მიერ აღწერილი სტრატეგიის მართებულობა – რატომ შეუწყობს ის ხელს პრობლემის მოგვარებას.

თითოეული წერილი დასათაურებულია. <u>სათაური ასახავს წერილში წარმოდგენილი პრობლემის არსს</u>.

მიაქციეთ ყურადღება:

- ⇨ **დავალება 2. თქვენგან პრობლემის გადაჭრაზე მიმართული აქტივობის აღწერის ნაცვლად მოითხოვს არგუმენტების დასახელებას.**
- ⇨ **დავალება 3. ორ პრობლემას ეხება, შესაბამისად, თქვენ გევალებათ თითოეულის გადაჭრის სტრატეგიის აღწერა და დასაბუთება.**

შენიშვნა: *„ფორუმი“ ხუთი დავალებისაგან შედგება. ნიმუშად წარმოდგენილია მხოლოდ სამი. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულა სამია, გარდა იმ დავალებისა, რომელიც ორ პრობლემას ეხება და ხუთქულიანია.*

ამონარიდები ფორუმზე შემოსული წერილებიდან:

დავალება №1

ნიჭიერი მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა.

განათლება -> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

მომხმარებელი	კომენტარი
მომხმარებელი: **ხათუნა** სტატუსი: **მშობელი**	გადავწყვიტე, ჩემი მე-9 კლასელი შვილი, ოთო სკოლიდან გამოვიყვანო! ოთო ძალიან ნიჭიერია, ბოლო ხანებში ვატყობ, რომ გაკვეთილზე ყოფნა მისთვის უინტერესო და მოსაწყენია. დავალებების მომზადებაზე ნახევარ საათზე მეტს არ ხარჯავს, ახალ მასალას სკოლაში სწავლობს, მასწავლებელი რომ ხსნის გაკვეთილს, მაშინ. ხშირად ხდება, რომ საკითხი, რომელიც მისმა კლასელებმა უნდა გაიარონ, მას უკვე დიდი ხნის წინ აქვს ნასწავლი. სკოლაში სიარულით მხოლოდ დროს უქმად ხარჯავს.
მომხმარებელი: **ნინო** სტატუსი: **მასწავლებელი**	მგონია, რომ ბავშვის სკოლიდან გამოყვანა კარგს არაფერს მოგიტანთ, ძალიან ბევრ სხვა პრობლემას შექმნის. ნუთუ სკოლაში მასწავლებელი ვერ ახერხებს მის დაინტერესებას? რამდენი ახალი მეთოდი არსებობს ამგვარი მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად.
მომხმარებელი: **ხათუნა** სტატუსი: **მშობელი**	მასწავლებლებს უჭირთ გამოსავლის მონახვა. თვითონ ეუბნებიან: ”ოთო, თუ გინდა, ნუ წაიკითხავ!” ”ოთო, ეს დავალება შენ არ გეხება!” ერთხელ მითხრა: ”მგონი, სკოლაში მარტო იმიტომ დავდივარ, მეგობრები რომ მყავდესო.” გაკვეთილებზე ყოფნა აღარ უნდა. მასწავლებლებიც ყველანაირად ცდილობენ, ოთო გაკვეთილიდან გაათავისუფლონ. ასე მგონია, ხელს ვუშლიო, მითხრა. უკვე გადავწყვიტე: ჩემი შვილისთვის უკეთესი იქნება, სახლში მოვუყვანო მასწავლებლები. იმ ცოდნას მისცემენ, მას რომ სჭირდება და, საბოლოო ჯამში, უკეთესი სპეციალისტი გამოვა...

დავალება №2

ჯგუფური მუშაობის ეფექტიანობა

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

მომხმარებელი	კომენტარი
მომხმარებელი: **თამარი** სტატუსი: **მასწავლებელი**	ბოლო დროს ჩემი კოლეგები ძალიან ხშირად იყენებენ ჯგუფური მუშაობის მეთოდს. მეც გამოვიყენე რამდენჯერმე, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო დავრჩი. ვფიქრობ, ამ მეთოდს ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს: გაკვეთილზე ხმაურია, ინდივიდუალურად მოსწავლეს ვერ ვაფასებ, სუსტები ძლიერების ხარჯზე ახერხებენ „გაძრომას“. კოლეგებსას ვკითხე, მგრამ ამ მეთოდის ეფექტურობის დამადასტურებელი არგუმენტები ვერ მოვისმინე. იქნებ გამიზიაროთ თქვენი გამოცდილება.

დავალება №3

3.1. მოსწავლის მოტივირება.

3.2. მოსწავლის ქცევისა და ემოციების მართვა.

განათლება-> თემატური ფორუმი -> ჩვენ და სკოლა

მომხმარებელი	კომენტარი
მომხმარებელი: **ელენე** სტატუსი: **მასწავლებელი**	მეთერთერთმეტე კლასის დამრიგებელი ვარ და ძალიან მაწუხებს ჩემი ერთი მოსწავლის, რატის, ბედი: ბოლო ხანებში შეიცვალა, სულ ჩხუბობს, აგრესიულია, სწავლაზეც აიღო ხელი. არადა, ნიჭიერია, ადრე მოტივირებული მოსწავლე იყო, ყველაფერი აინტერესებდა, კარგადაც სწავლობდა, ყოველთვის მზად იყო გაკვეთილისთვის, ბოლო ხანებში კი ვეღარ ვცნობ... სწავლაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, მეშინია, რაიმე ხიფათს არ გადაეკიდოს თავისი ხასიათის გამო... სკოლაში რაიმე კონფლიქტი თუ ხდება, ერთი მხარე ყოველთვის რატია... ამას წინათ პოლიციასთანაც კი ჰქონდა პრობლემა... მშობელსაც ვერ ვრევ ამ პრობლემის მოგვარებაში. დედა ადრე გარდაეცვალა და მხოლოდ მამა ზრდის... ძალიან მინდა დავეხმარო. ორი საკითხი მაინტერესებს: როგორ დავუბრუნო რატის სწავლის სურვილი, მოტივაცია და როგორ დავეხმარო საკუთარი ემოციებისა და ქცევის მართვაში?

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილ არეში **აღწერეთ მასწავლებლის ერთი <u>კონკრეტული</u> აქტივობა/სტრატეგია,** რომელიც იქნება მასწავლებლის, მშობლის თუ მოსწავლის მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა. **დაასაბუთეთ,** თუ რატომ შეუწყობს ხელს თქვენ მიერ აღწერილი თითოეული სტრატეგია ამ პრობლემის მოგვარებას.

პასუხების ფურცელზე არის მინიშნება, თუ სად უნდა ჩაიწეროს თქვენი პასუხი თითოეულ წერილთან დაკავშირებით.

ჩაწერეთ:

დავალება 1.

დავალება 2.

დავალება 3.1

დავალება 3.2

გამოცდები 2011

ერთიანი ეროვნული გამოცდები – სიახლეები

წესები, რომელიც გამოსაცდელმა უნდა დაიცვას გამოცდაზე

♦ სამუშაო მაგიდებთან დასხედით იმ ნომრების მიხედვით, რომლებიც რეგისტრაციის დროს დაგირიგდათ!

♦ არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი პირადობის მოწმობის, გელიანი კალმის (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ), ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის გარდა (წყალი, პლასტმასის ბოთლით, შეგიძლიათ დადგათ იატაკზე);

♦ სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ ვალდებული ხართ, ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით, სათითაოდ გადაფურცლოთ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი კურატორთან ან მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის მიღების თაობაზე;

♦ თუ ხარვეზიანი ტესტის რვეული ან პასუხების ფურცელი შეგხვდათ, მას ახლით შეგიცვლიან;

♦ პასუხების ფურცელზე კურატორის ან მეთვალყურის მიერ დაკრული შტრიხკოდის ნომერს საკუთარი ხელით გადაიტანთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;

♦ არ შეიძლება შტრიხკოდის საწერი კალმით გაფერადება ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;

♦ ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგება (პასუხების ფურცლებზე დაიკვრება შტრიხკოდები) და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ გამოცდის კურატორი ან მეთვალყურე;

♦ პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით, რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ;

♦ იმ შემთხვევაში, თუ პასუხების ფურცლის შევსებისას თქვენ შემჩნეული იქნებით განსხვავებული ფერის მელნის გამოყენებაში, მიიღებთ გაფრთხილებას და ჩამოგერთმევათ პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადმოგეცემათ პასუხების სათადარიგო ფურცელი, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებული იქნება სხვა კალამი, არ გასწორდება;

♦ თუ დროზე ადრე დაიწყებთ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ კურატორს ან მეთვალყურეს მხოლოდ ხელის აწევით შეგიძლიათ მიმართოთ;

♦ გამოცდის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დროებით დატოვოთ საგამოცდო სექტორი თანმხლებ პირთან ერთად. ეს დრო არ დაემატება საგამოცდო დროს;

♦ ორი გამოსაცდელი ერთდროულად ვერ დატოვებს საგამოცდო სექტორს;

♦ აკრძალულია კურატორის ან მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. ამ დროს მიიღებთ გაფრთხილებას, დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ ერთმანეთის დახმარების მცდელობის ან სხვა პირისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას; მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას. განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე შეტანა. მათი თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;

♦ დრო არავის დაემატება (გარდა სამედიცინო ცნობით დადასტურებული ფუნქციონალური დარღვევებისა);

♦ თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობასა და პასუხების ფურცლის შევსებას, ხელის აწევით მიმართავთ მეთვალყურეს ან კურატორს, რომლებსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის რვეულს, პასუხების ფურცელს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებთ საგამოცდო სექტორს;

♦ არ გასწორდება იმ გამოსაცდელის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს!

♦ არ გასწორდება იმ აპლიკანტის ნაშრომი, რომელიც პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

♦ ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში;

♦ წესრიგის უხეში დარღვევის, აგრეთვე საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

♦ გახსოვდეთ, პასუხების ფურცლის გაკეცვა არ შეიძლება!

♦ გაკეცილი პასუხების ფურცელი არ გასწორდება; თქვენ ვალდებული ხართ, დაემორჩილოთ გამოცდის კურატორის, მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან თქვენი მოხსნის შესახებ.

გისურვებთ წარმატებებს!

ინფორმაცია

* * *

რვა მილიონი ლარი დაიხარჯება სოციალურად დაუცველი ყველა მოსწავლისთვის სახელმძღვანელოების შესაძენად. ამის შესახებ განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახის მოსწავლე, რომელიც 2011 წლის 15 სექტემბერს სკოლაში გამოცხადდება, საქართველოს მთავრობის მიერ უფასოდ მიიღებს სახელმძღვანელოებს. ამ მიზნით, სახელმწიფომ უკვე გამოყო 8 მილიონი ლარი, რომლითაც 800 000 სასკოლო სახელმძღვანელო იქნება შეძენილი.

პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეები, რომელთა ოჯახისთვის მინიჭებული ქულა 70 ათასის ქვემოთაა, ყველა სახელმძღვანელოს უფასოდ მიიღებენ. სახელმძღვანელოებს სახელმწიფოსაგან ასევე მიიღებენ მეშვიდედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეები, რომელთა ქულა 57 ათასის ქვემოთაა.

დიმიტრი შაშკინის განცხადებით, ეს სერიოზული შეღავათი იქნება მოსახლეობისათვის და მივაღწევთ იმას, რომ ოჯახის შემოსავლის მიუხედავად, ყველა ბავშვს ექნება სრულყოფილი განათლების მიღების შესაძლებლობა.

* * *

ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში ახალი საგნის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ სწავლება დაიწყება. ახალი საგნის 1600 პედაგოგი გადამზადებას შინაგან საქმეთა აკადემიაში გაივლის, სადაც სპეციალურად მათთვის სახელმძღვანელო დაიწერა. სახელმძღვანელო თბილისის საჯარო სკოლების ახალი საგნის პედაგოგებს 23-ე საჯარო სკოლაში გააცნეს. პრეზენტაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და შინაგან საქმეთა აკადემიის რექტორი ხატია დეკანოიძე დაესწრნენ.

სახელმძღვანელო შედგენილ იქნა შსს აკადემიის საპატრულო პოლიციის ფაკულტეტზე, შედგება ორი ნაწილისაგან: თეორიული სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოების წიგნი, რომელშიც თემატურად განაწილებულია მართვის მოწმობის 1010 ტესტი. სახელმძღვანელო მოიცავს იმ ძირეულ საკითხებს, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რათა პირი სრულყოფილად მომზადდეს საგზაო მოძრაობის წესებსა და უსაფრთხოებაში.

პედაგოგთა ტრენინგები შინაგან საქმეთა აკადემიაში დღეიდან დაიწყება და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე გაგრძელდება. ტრენინგების ფარგლებში მასწავლებლებს ექნებათ ტესტური დავალებები, ისწავლიან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, სწავლების მეთოდოლოგიას და სხვ. ახალი საგნის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ სწავლება განათლებისა და მეცნიერებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყება.

საგანს მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები შეისწავლიან. ახალი საგნის შემოღება მიზნად ისახავს გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას, სწორედ ამას შეუწყობს ხელს სკოლის ასაკში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს მოსწავლეები სკოლაშივე გაივლიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მოსწავლეები 17 წლის ასაკში, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, მართვის დროებით მოწმობებს უსასყიდლოდ მიიღებენ. მათ საშუალება ექნებათ ქალაქში ავტომობილით იმოძრაონ, ეკრძალებათ მხოლოდ მგზავრების გადაყვანა. 18 წლის ასაკში კი, დროებითი მოწმობის ნაცვლად, ახალგაზრდა საერთაშორისო სტანდარტის მართვის მოწმობას ასევე უსასყიდლოდ აიღებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

მერაბ ბერძენიშვილის სტუდია „მუზა“

გთავაზობთ ახალ საზაფხულო საგანმანათლებლო პროექტს, რომელიც მოიცავს:

- ხელოვნების ისტორიის შესწავლას (შემეცნებითი ფილმების ჩვენება ხელოვნებაზე);
- ხატვას (გრაფიკა, ფერწერა);
- უცხოურ ენათა დაუფლებასა და მწერლობის გაცნობას; (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუსული);
- მოზარდებისათვის ქართული მწერლობის გაცნობასა და წაკითხულის გააზრებას;
- საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლას (გასვლით ექსკურსიებს თბილისსა და მის გარშემო ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად);
- ტექნიკურ საგნებში მომზადებას სპეციალური პროგრამით.

სწავლების პროცესი წარიმართება სტუდია „მუზას“ აუდიტორიებსა და ღია ცის ქვეშ, ბაღში.

მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ერთი ან რამდენიმე დისციპლინა.

საკონტაქტო ტელეფონი: 571 23 53 53

ეთნორეალიები

მთის რაჭა ტრადიციებითა და რიტუალებით

დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობაში, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე – რაჭა.

X საუკუნის ბოლომდე რაჭა, როგორც ცალკე ისტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, არ არსებობდა. შემდეგ-დროინდელი საერისთაოს ტერიტორია ორ ქართულ პროვინციაში – თაკვერში და სვანეთში – იყო განანილებული (ე.წ. რაჭის „მთიულეთი“ სვანეთს ეკუთვნოდა. X ს-ის დასასრულამდე სვანეთში გლოლა და უწერაც შედიოდა).

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე გამოირჩევა უძველესი ტრადიციებით. ისტორიულად რაჭა ზემო და ქვემო რაჭად იყოფა. ცალკე გამოიყოფა მთის რაჭა, რომელიც მდებარეობს რიონის სათავისა და ჭანჭახის წყალს შორის და სამ სოფელს – ღები, გლოლა და ჭიორა – აერთიანებს.

ხალხური გადმოცემის თანახმად, ერთხელ თამარ მეფეს სოფელ სამაროვანში შეუსვენია, გლოლიდან ათი ვერსის მანძილზე. სამაროვანიდან გამომგზავრებისას თამარს მოუკითხავს საბალაზოდ გაშვებული ჯორები. მეფის მხლებლებს ბევრი ძებნის შემდეგ ჯორები ჩიჩხვის მთის ძირში უპოვიათ, რომლებიც თურმე მჟავე წყალს – „ვეძას“ სვამდნენ. მეფის მხლებლებს თამარისთვის ეს წყალი აზარფეშით მიურთმევიათ. თამარს მოუსურვებია წყაროს ნახვა და გლოლას ჩაბრძანებულა. ძალიან მოსწონებია ეს ადგილი და ეკლესიის აშენება უბრძანებია, მაგრამ რადგან ადგილი უკაცრიელი და ტყით დაბურული იყო, საჭირო გამხდარა ეკლესიისთვის მეთვალყურედ ვინმე დაეტოვებინათ. დარჩენის სურვილი ამალიდან ერთ-ერთ ბერს გამოუთქვამს, მხოლოდ იმ პირობით, თუ მეფე მას ცოლის შერთვის ნებას მისცემდა. თამარს ნება დაურთავს და ბერი დარჩენილა ბიძასთან და მოსამსახურე ბიჭთან ერთად. ხალხური გადმოცემით, ამ სამი პირისგან სოფელი გლოლა მოშენებულა და იქ მცხოვრები გვარებიც სწორედ მათგან წარმოიშვა: ბერისგან – ბერიშვილები, ბიძისგან – ბიძაშვილები და ბიჭისგან – ბიჭაშვილები.

სოფელ ღების („ღები“ სვანურად ჩაღრმავებულს ნიშნავს) დაარსებას ხალხური თქმულება ლეჩხუმიდან გამოქცეულ ვინმე მღებავს მიაწერს, რომელსაც თურმე კაცი შემოკვდომია და მთის რაჭაში გახიზნულა. მას ხელი მიუყვია მღებაობისთვის და სოფელსაც ამის გამო დარქმევია ღები.

რაც შეეხება ჭიორას, ეს სოფელი, ხალხური თქმულების მიხედვით, უფრო გვიან დასახლებულა. ჭიორელები ადრე თურმე ფასის მთის იქით ცხოვრობდნენ, მათ თათრები (ჩრდილოელი ტომები) ავიწროვებდნენ, რის გამოც ღებელებისთვის უთხოვიათ ნებართვა – ღების ფარგლებში დასახლებულიყვნენ. ღებელებს მათთვის ასარჩევად შეუთავაზებიათ დასასახლებელი ადგილი, ჭიორელებს კი აურჩევიათ ადგილი, სადაც „მწიორი“ ბინადრობდა („მწიორს“ უწოდებდნენ: მელას, კვერნას, კურდღელს, თრითინას და სხვ). ღებელებს მათთვის ეს ადგილი დაუთმიათ და სოფელს დარქმევია ჭიორა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ეს სოფლები „კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი“ დასახლებული პუნქტები ყოფილა. მთის რაჭაში მოსახლეობა შემჭიდროებულად ცხოვრობს. განფენილნი არიან მთების კალთაზე, ჯერ კიდევ შემორჩენილია მრავალსართულიანი „დუროიანი“ სახლები.

მთის რაჭის მომხიბვლელობას განაპირობებს კავკასიონის ქედი, მდიდარი ტყის საფარი და შუშხუნა მჟავე წყლები. ეს რეგიონი მდიდარია ტრადიციებითა და რიტუალებით.

მთის რაჭაში განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის. ულამაზესი სალოცავი, შხელის წმინდა გიორგი, სოფელ გლოლასთან დიდ გაშლილ მინდორზე მდებარეობს. შხელში ხატობა ორჯერ იმართება: მაისში – „ათანგენი“, წარმართული, თემური ხასიათის და მეორე – გიორგობა,10 ნოემბერს.

„ათანგენობას“ გლოლელები დღესასწაულობენ. მთელი სოფელი თავს იყრის შხელში განატეხებით (კვერებით), ღვინით, საკლავებით. თემის უხუცესი წმინდა გიორგის შესთხოვდა თემის გაძლიერებას და წარმატებას. მომლოცველები, სხვადასხვა რიტუალებთან ერთად, იმ დღეს ასრულებდნენ, თუ რაიმე ჰქონდათ შეთქმული.

გიორგობას შხელში თავს იყრიან რაჭის სხვადასხვა სოფლის მკვიდრნი. მოჰყავთ უსინათლონი და წმინდა გიორგის შესთხოვენ განკურნებას. სალოცავთან ქალებს არ უშვებენ, არც ცხენოსანს აქვს იქ გავლის უფლება.

მთის რაჭველებს დღემდე აქვთ შემონახული მრავალი საინტერესო რიტუალი, ერთ-ერთია „შიოობა“. ოჯახის დოვლათიანობას მთის რაჭველები ევედრებიან წმინდა შიოს. ყველიერის ხუთშაბათს ოჯახის უხუცესი აიღებს ორ კვერცხს, ორ კვერს და ლოცვით ევედრება წმინდა შიოს, ოჯახში ბარაქა დაატრიალოს. ლოცვის შემდეგ კვერცხებს არმანში შედებენ, ვარცლზე კი ღვინით სავსე ჭიქას დგამენ. სწამთ, როცა შიო გამოივლის, მისი მათრახის კუდი ღვინოში ჩაეწობა და ოჯახშიც დოვლათი დატრიალდება. თუ ღვინო არ დახვდება, ეს ცუდის მომასწავებელია ოჯახისათვის.

ყველიერის წინა შაბათს მთის რაჭაში „ბოსლობას“ მართავდნენ. ეს დღესასწაული პირუტყვის მოსამრავლებლად და მათი ფათერაკებისაგან დასაცავად იმართებოდა.

აცხობდნენ კაცის სულზე ბაჭულებს. შეღამებისას უფროსი აიღებს ორ ბაჭულს, კვერცხებს და ბოსლისკენ მიემართება, თანმხლებად ვაჟებს წაიყვანს. ბიჭები ერთმანეთს ზურგზე შეასხდებიან და საქონლის ხმაზე ბღავიან, თან ხშირად იძახიან: *„ბოსელ, ბოსელ, ბუ!“* შევლენ ბოსელში და დაბმულ პირუტყვს სამჯერ შემოუვლიან და იტყვიან: *„დათვი მჭლე და შენ მსუქანი, გაზაფხულზე გასვინტრიკდი (გასუქდი)“.* შემდეგ თვალს ხუჭავენ და კვერცხს ბაგაში მალავენ. ვინც იპოვის, ის ბედნიერი იქნებაო. იქვე შეექცევიან ბაჭულებს და თან ლოცულობენ: *„ანგელოზო საქონლისაო“.* ბოსლიდან გამობრუნებისას პირველად სახლის კარებს მიადგებიან, რომელსაც დიასახლისი შიგნიდან ჩაკეტავს. მამასახლისი იტყვის: *„კარი რკინისაო“* (სამჯერ). დიასახლისი უპასუხებს: *„არა, მეუფისაო“* და გაიმართება ასეთი კითხვა-პასუხი:

დიასახლისი:
– ხარებმა რა შემოსთვალეს?
ძროხებმა რა შემოსთვალეს?
ცხენებმა რა შემოსთვალეს?
თხებმა რა შემოსთვალეს?
ღორებმა რა შემოსთვალეს?
კაცებმა რა შემოსთვალეს?
ქალებმა რა შემოსთვალეს?
ყანებმა რა შემოსთვალეს?
ქათმებმა რა შემოსთვალეს?

მამასახლისი:
– სახვნელი უღელი დაგვიმზადეთო;
სახბორე დაამზადეთ და ჩვენ მზად ვართო;
საჯინიბე დაგვიმზადეთო;
საკრავე დაამზადეთ და ჩვენ მზად ვართო;
სათიკნე დაგვიმზადეთო;
საღორე დაგვიმზადეთო;
თოფ-იარაღი დაგვიმზადეთო;
აკვნები დაგვიმზადეთო;
ბეღლები დაგვიმზადეთო;
საწიწილე დაგვიმზადეთო.

საინტერესოა მთის რაჭის საქორწინო ტრადიციებიც. როგორც წესი, ჯვრისწერა მიღებული იყო ქალის სოფელში, სადაც სასიძო თავისი „ანქრით“ (მაყრით) მიემგზავრებოდა. იქ „გვირგვინოსნებს“ ასაჩუქრებდნენ ნივთებითა და ფულით. ვახშმის შემდეგ აიშლებოდნენ, პატარძალს წამობურავდნენ „ბურსეულს“, შემდეგ მიჰყავდათ სიძის სახლში თოფების სროლითა და სიმღერით. იქ დედამთილი ხვდებოდა შაქრით.

ძველად მთის რაჭაში გავრცელებული იყო აკვანში „დაწინდვა“ (დანიშვნა). სოფელში თუ ერთ ოჯახს ქალი შეეძინებოდა, მეორეს კი – ვაჟი და ამ ოჯახებს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ, ორმოცი დღის შემდეგ შეხვდებოდნენ ერთმანეთს წყაროზე და დანათესავებას შესთავაზებდნენ.

მთის რაჭაში ორსული ქალი ყოველგვარ უსიამოვნებას გაურბის, მას განსაკუთრებით

ეთნორეალიები

წყევლის ეშინია. ფეხმძიმე ქალი ზოგიერთ საჭმელს არ ჭამს და პირუტყვის დაკვლასაც არ ესწრება. მელოგინეს მიწაზე დაგებულ ჩალაზე ან თივაზე აწვენენ. მას ბებიაქალი უვლის, რომელიც იმავე დროს სხვადასხვა ჯადოქრობით და შელოცვებით ცდილობს მშობიარობის შემსუბუქებას. მელოგინეს ბალიშის ქვეშ ხანჯალს ამოუდებენ, რომ დაიფაროს ავსულისგან. ქმარი მას ჩოხის კალთით მოტანილ წყალს დაალევინებს. შემდეგ სახვნელს (სახნისს) სამჯერ დაშლის და ააწყობს, დასასრულ სახლში შემოდის და მშობიარეს გადაალაჯებს. თუ მშობიარობა რთულდება, მას „დათვის კოდას“ ასმევენ (ამ ბალახის დანაყილ შავ მარცვლებს წყალში ხსნიან), ეძახიან, ვისაც გველ-ბაყაყი გაუშორებია და დახმარებას სთხოვენ. ის მიდის წისქვილში, წყალს გადაუგდებს და იტყვის: *„წისქვილს წყალი გადამიგდია, გველ-ბაყაყი გამიყრია, დედა-შვილი გამიკრიაო“* (სამჯერ) და გამობრუნებისას მელოგინესთან შეივლის.

ახალ წელიწადს მთის რაჭველი დიდი მოწიწებით ეგებება და სურვილების შესრულებას მოელის. ახალი წლის წინა დღით თითოეული გლეხი ოჯახში ერთ მარხილ შეშას მოიტანს. ამ მარხილზე დებენ ჩიჩილაკს, „ნეკერს“ (თხილის ბიბილო) და „თომას“ (ფეხის თივა). ამავე დღეს საახალწლო ღორს კლავენ, ვისაც ღორი არ ჰყავს, „ნებიერს“ (ნასუქი მოზვერი). ღამე აცხობენ საახალწლო ბაჭულებს, მათში ერთს – ძველი წლისთვის. აგრეთვე, აცხობენ ადამიანის სახის კატა-ბასილას და ერთ დიდ პურს – „კერია-ბედიად“ წოდებულს, რომელიც პატარა რკალებითაა დაჭრელებული. ამ ნამცხვრებს ოჯახის მეკვლე „მაკვრიელი“ ცხრილზე დაალაგებს, გვერდში საზედაშედ ერთ ბოთლ ღვინოს მიუდგამს და ბეღელში შეინახავს.

მამლის ყივილისას მეკვლე დგება და ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გადის და მარხილზე დაწყობილ ნეკერს, თოკს და ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა, ცხრილს აიღებს და ამ ნივთებით სახლში შემობრუნდება. აიღებს „კერია-ბედიას“ პურს და საფუარზე დადებს, აბრუნებს მას მარჯვნივ და ხმამაღლა ამბობს: *„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, დიამც მოგივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ღვინიანობის, საქონლის გამრავლების... ღმერთო, ბედნიერი წელიწადი მოგვიბრუნე“*. ბოლოს ხმის აწევით დაიძახებს: *„მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოთ ღმერთმან“*. ამაზე ოჯახი უპასუხებს: *„შენც მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოს ღმერთმა“*.

რაჭაში ნადირობასაც განსაკუთრებული რიტუალებით ასრულებენ, საერთოდ კი, ნადირობას განიხილავენ არა როგორც მხოლოდ სარჩოს მოპოვებას, არამედ, როგორც რიტუალს. მონადირე სანადიროდ წასვლის წინ დიდ სიწმინდეს იცავდა. ცუდ სიტყვას არ იტყოდა, არ დალევდა. სანადიროდ ღამე ან დილით ადრე მიდიოდა და ცდილობდა ხმა არავისთვის არ გაეცა გზაზე. შემხვედრსაც არ უნდა ეკითხა, სად მიხვალო. მხოლოდ გზა უნდა დაელოცა: გამარჯვებით იარეო. არც მონადირის ცოლი ეტყოდა ვინმეს, თუ სანადიროდ იყო მისი ქმარი წასული, არც თმას გაიშლიდა და დაივარცხნიდა მის მოსვლამდე. საგზლად მონადირე დედის გამომცხვარ ხმიადს წაიღებდა. ქონიანი ან წვნიანი თან არაფერი უნდა ჰქონოდა. არც მის ოჯახში შეიჭმებოდა წვნიანი საჭმელი მის მოსვლამდე.

საქართველოს სხვა კუთხის ჩაცმულობისაგან განსხვავებულია რაჭული სამოსიც.

„...უცხო ქვეყნელი რომ ვინმე მოვიდეს უწერაში, დარწმუნებული ვარ, რომ ძნელად გამოიცნობს მამაკაცს დედაკაცისაგან, როგორც მამაკაცებს აცვიათ ჩოხა-ქალამნები, ისე დედაკაცებს, განირჩევიან დედაკაცები იმით, რომ მათ ახურავთ თავზე გრძელი პირკლის ლეჩაქები ირგვლივ ფოჩით შემოკერებული და ყელზე აქვთ ჩამოკიდებული ყოველგვარი კაკილა (მძივი)...“ (გაზეთი „დროება“, 1877 წ. №110).

იაკობ გოგებაშვილი ასე აღწერს რაჭულ ჩაცმულობას: *„მათი ტანსაცმელი დიდად არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსისაგან. ქალების ტანისამოსი კი აქ უფრო სხვანაირია, მეტადრე ზემო რაჭაში. ბევრი გლეხის ქალები წინათ ბაზრობის დღეებშიაც კი ახალუხებით, ჩოხებით, პაჭიჭებით, ქალამნებით და ნაბდებით გამოდიოდნენ და თათრის ქალებივით ყელზე სხვადასხვა შუშის ღვრინჭილას იკეთებდნენ...“*

სერგი მაკალათია თავის ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს მთის რაჭულ კოსტიუმს – *„...მხოლოდ მოხუცი ქალები ატარებენ ძველ რაჭულ კოსტიუმს, განსაკუთრებით სოფელ ღებში... ეს კოსტიუმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: გრძელი და გვერდებჩაჭრილი პერანგი, რომელსაც ქვეშ იცვამენ. მასზე იცვამენ ფერად დაბამბულ საგულეს. საგულე პერანგზე უფრო მოკლეა. ზემოდან იცვამენ ყუთმაჯიან „კაფთარას“ (კაბა), რომელიც თავისი ჭრილობით წააგავს ქართულ ყუთმაჯიან მამაკაცის კაბას. წელზე იკრავენ გრძელ სარტყელს და იფარებენ წინსაღარს. გულმკერდს იმკობენ: ნიშნის ბალთით, ვერცხლის ღილით, ჟინჟღილით, ფიფანდურებით, „ავგაროზით“ და სხვა სამკაულებით. თავზე ხურავთ თეთრი მიტკლისაგან შეკერილი და უკან ირიბად ჩამოგრძელებული „ჩიქილა“, რომელსაც ქვემოთ შემოვლებული აქვს „ფოცი“ და „ჩინჩიყი“. „ჩიქილაზე“ იხვევენ თავშალს, „თავსაკონად“ წოდებულს. ფეხზე იკეთებენ საწვიეებს, რომელსაც „წვივსაკოვნით“ – „ლეკვერითხებით“ იკრავენ. იცვამენ წინდებს, წუღებს, „კვახუხუჯებს“ (უბრალო ქალამანი) და ბანდულებს. ხელის თითებს იმკობენ სარდიონის თვლებიანი ბეჭდებით.*

რაჭული კოსტიუმების უმეტესი ნაწილი შავი სატინისაა, მაგრამ აქ მოიპოვება აგრეთვე ფერადი ფართო ატლასისაგან შეკერილი მდიდრული, მორთული კოსტიუმები. რაჭულ ტანისამოსს, თავისი წარმოშობით, უეჭველია, კავშირი აქვს ძველებურ ქართულ კოსტიუმთან და ეს რაჭული „კაფთარაც“, ფორმით და ჭრილობით, ქართული ყუთმაჯიანი კაბის პროტოტიპია...“

რეზო ჭანიშვილი წერს: *„გლეხის ტანსაცმელს წარმოადგენდა „კაბა“, რომელიც რუსულ სარაფანს მიაგავს, აგრეთვე ქვედატანი კაბა, საგულე ახალუხი და სათბური. რაჭაში ერთმანეთისაგან არჩევდნენ სადა, ჩვეულებრივ და სადღესასწაულო ჩაცმულობას. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამორჩეული იყო აღდგომის დღესასწაული, როდესაც თვით ყველაზე უღარიბესიც ცდილობდა რაიმე ახალი და გამორჩეული ჩაეცვა. გლეხის ქალები ჩვეულებრივ დღეებში თავზე უბრალო თავსაფარს იფარებდნენ, ხოლო დღესასწაულზე შალის ან აბრეშუმის თავსაფრით გამოდიოდნენ“.*

რაჭველთა სამოსელს არაერთი უცხოელი მოგზაურისა და მკვლევარის ყურადღება მიუპყრია, განსაკუთრებით მთის რაჭველ ქალთა ჩაცმულობას. 1874 წელს, გერმანელი მეცნიერი, დოქტორი ვ. ბ. პფაფი განცვიფრებას ვერ მალავს რაჭველ ქალთა სამოსელის გამო: *„ზეგანზე მთების ქვემოთ ნაწილში მდებარეობს დიდი სოფელი წედისი, იქ გარდა შენობებისა მე გამაოცა ქალების თვალწარმტაც ნაირფეროვანმა ტანსაცმელმა, რომელიც ბევრ რამეში მაგონებს ანატოლიას“.*

1874 წელს, ინგლისელი მკვლევარი მოგზაური ფილიპ გროვე რაჭაში მოგზაურობისას მოგვითხრობს: *„გავიარეთ რა ტყე, ჩვენ შევხვდით სამ ქალს, რომლებიც დამფრთხალნი გაიქცნენ. მათ ეცვათ მოკლე კაბა და შარვალი, ხოლო ქვედა ნაწილი დაფარული ჰქონდათ საბურველით, რომლის ტარებაშიც ისინი დიდ ხელოვნებას ამჟღავნებდნენ“.*

1888 წელს რაჭველი ქალის სამოსელზე ყურადღებას ამახვილებს მოგზაური კ. ჰანი: *„...ჩვენ მოგვეცა შემთხვევა გვეხილა იქაური ლამაზი ქალის მოხდენილი სადღესასწაულო ტანსაცმელი. ოქროს სირმით გრძელი შავი ხიფთნის ქვემოდან ეფექტურად მოსჩანს წითელი შარვალი, წელზე შემოჭერილი ლამაზი ქამრით. ხიფთანის მკერდი მორთულია წითლად, ქამარზე მომაგრებულია თეთრი წითელი კვადრატებიანი გრძელი და ფართო წინსაფარი. თავსამკული რაღაც დოლბანდის მსგავსია, საიდანაც უკან ეშვება წითელი ფოჩებიანი თეთრი თავსაბურავი“.*

განსაკუთრებით საინტერესოა რაჭული სტვირის ისტორია. სტვირი რაჭული ფოლკლორის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

მესტვირე, გუდასტვირის დამკვრელი, მომღერალი, მელექსე საწესჩვეულებო დღესასწაულებისა და სახალხო სანახაობათა ერთ-ერთი პოპულარული მონაწილე იყო. მართალია, მესტვირული ტრადიცია სათავეს იღებს ქართლიდან, პირველი ცნობა მესტვირის შესახებ IX საუკუნეში გვხვდება – „კალმასობის“ მიხედვით, ქართლში ნაქები ყოფილა მესტვირე კიჭიაშვილი. შემდეგ მესტვირეობა გავრცელდა საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით რაჭაში (სოფ. ფარახეთში). XVIII-XIX საუკუნეებში ცნობილი იყვნენ მესტვირეები: ქებაძე, ბლიაძე, ნ. და ლ. ტოგონიძეები, დ. და ი. ბურდილაძეები, ზ. და მ. ერაძეები. მესტვირეები პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ.

ამ საკრავზე მხოლოდ მამაკაცები უკრავენ. რაჭველი მესტვირეები – მოხეტიალე მუსიკოსები სასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ ყოველგვარ დღეობასა თუ ქორწილში. მესტვირეობა რაჭაში წარმოადგენდა გარკვეულ პროფესიას, რომელიც ამ მოხეტიალე მუსიკოსებისათვის შემოსავლის დამხმარე საშუალება იყო.

რაჭველები ყველა დღესასწაულს ფერხულით ასრულებენ, ფორმის მიხედვით რაჭული ფერხულები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად, წრიულია და ქალ-ვაჟის მიერ სრულდება; შინაარსობრივი მოტივის მიხედვით კი, რაჭული საცეკვაო ფოლკლორი საომარ-პატრიოტული, საწესჩვეულებო, სამონადირეო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ფერხულებია.

რაჭული სუფრა ყოვლადწმინდას გარეშე არ სრულდება, ამ სადღეგრძელოს რაჭველები ლექსით წარმოთქვამენ:

შეგეწიოს ყოვლად წმინდა
ხოტევი და ნიკორწმინდა
ზემო ბარი, ქვემო ბარი,
სხვავა და კვირიკეწმინდა.
ჩვენი მტერი და ორგული
დასწყევლოს ტურა მელამა,
ქრისტეს აღდგომა გვამცნობოს
წისქვილის სარეკელამა,
მრავალძის წმინდა გიორგიმ
ველიეთ სულისა ზენამა,
თქვენი ოჯახი დალოცოს
სამთისის დიადემამა.
ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი
მოდიოდა ფეხშიშველი,
ღმერთმა ყველა გადღეგრძელოთ
სტუმარი და მასპინძელი.

რაჭის განვითარებულ კულტურაზე ფეოდალური ხანის ეთნოგრაფიული ძეგლები და ყოფა-ცხოვრების დახვეწილი წესები მიუთითებენ. აქაური მოსახლეობა შრომისმოყვარეობით, ვაზისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და სიმღერის ნიჭით გამოირჩევა. *„...რაჭას ძლიერ მშრომელი და მუყაითი ხალხი ასხია. აქ მარტო მამრობითი სქესი არ მუშაობს, ქალებიც მონაწილეობენ ყველანაირ შრომაში... არა გვგონია, რომ საქართველოს რომელსამე კუთხეში ამგვარი გამრჯელი ხალხი იპოვებოდეს, როგორც აქ, რაჭაში. თვით მათი აგებულების მოყვანილობა იმათ მხნეობას ცხადად გვიჩვენებს. ისინი კარგად ჩასხმულნი, ზომიერის ტანისა, მხარბეჭიანნი და ძარღვიანნი არიან“* (ვახუშტი ბაგრატიონი).

აქ ცოცხალია მევენახეობა-მეღვინეობის ისეთივე არქაული წესები, როგორსაც ძველი ბერძნული და რომაული თხზულებები აღწერენ: რთველის სამზადისი, ყურძნის კრეფისა და დაწურვის წესები, ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება. დღესაც არსებობს ღვინის მარნები, საწნახელები, მრავალნაირი საღვინე ჭურჭელი და ხელსაწყოები. აქ ვაზის 60-მდე ადგილობრივი ჯიში გამოუყვანიათ. ყველაზე განთქმული ხვანჭკარის ღვინოა.

მაღალმთიან რაჭაში აგებდნენ სვანური კოშკების მსგავს დუროიან, ანუ სათოფურიან სახლებს, რომლებიც როგორც საცხოვრებლად, ასევე თავდასაცავად გამოიყენებოდა. რაჭველები მონადირეები და ხეზე ჭრის უბადლო ოსტატები იყვნენ. ზამთრის პერიოდში სპილენძის ჭურჭელს, სამჭედლო ნივთებს და ხის ავეჯს ამზადებდნენ. საკვარცხული ოჯახის უფროსის სავარძელი იყო. რაჭველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემონახულია მრავალხმიანი სიმღერები და საგალობლები, ხალხური რიტუალები და წეს-ჩვეულებები.

სოფიკო სარიშვილი

საგანმანათლებლო კერა

ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია

ქუთაისის ქართული გიმნაზია (ძველი შენობა)

პირველი ქართული სკოლის გახსნა ქუთაისში დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეს ის პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში, როცა რუსეთის ცარიზმი განსაკუთრებული სიმკაცრით ამკვიდრებდა რეაქციულ რეჟიმს, კრძალავდა ქართულ ენაზე სწავლებას, მოსწავლეებს მშობლიურ ენაზე ერთმანეთთან გადალაპარაკებისთვისაც კი შეურაცხყოფას აყენებდნენ.

მიუხედავად ამისა, მოწინავე ქართული ინტელიგენცია თავდადებით იბრძოდა ქართული ენის შენარჩუნებისა და განათლების შემდგომი განვითარებისათვის. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი – აი, იმ ქართველ მამულიშვილთა სახელები, რომელთა მონაწილეობით, 1879 წლის 15 მაისს, გაიმართა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი სხდომა. ამ საზოგადოების უმთავრესი მიზანი იყო ქართული სკოლების გახსნა, სახელმძღვანელოების გამოცემა მშობლიურ ენაზე და სხვ.

ამას მალე პრაქტიკული შედეგი მოჰყვა: 1880 წლის 3 თებერვალს, ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა სააზნაურო მოსამზადებელი სკოლა ორი განყოფილებით. მოსწავლეთა კონტინგენტის სწრაფ ზრდას ხელს უშლიდა შენობის უქონლობა. სკოლის გამგის, ინსპექტორ ალექსი ჭიჭინაძის მცდელობას სკოლის ბაზის გაფართოებისათვის შედეგი არ მოჰყოლია.

დასაწყისისათვის სკოლის შემადგენლობა რვა კაცით განისაზღვრებოდა. საერთოდ, სკოლებში პირველი ადგილი ეკუთვნოდა ინსპექტორს, რომელსაც ახალ, ქართულ სკოლაში, თითქმის თანასწორი უფლებებით, მხარში ედგა შვიდი მასწავლებელი. სკოლაში სწავლება უფასო იყო.

თავდაპირველად ორგანყოფილებიან სკოლას, 1881-1882 წლებში, მესამე და მეოთხე განყოფილებაც დაემატა. კონტინგენტის ზრდასთან დაკავშირებით პარალელური განყოფილებებიც გაიხსნა. 1884 წლამდე სკოლას თანმიმდევრობით ემატებოდა პროგიმნაზიული კლასები, ხოლო 1885 წელს მან სრული პროგიმნაზიის სახე მიიღო. კურსი რვა წლის სწავლებას ითვალისწინებდა, აქედან ოთხი მოსამზადებელ განყოფილებას ეჭირა და ოთხი წელი პროგიმნაზიულ კლასს ეკუთვნოდა.

1886 წლის 9 სექტემბერს ა. ჭიჭინაძე თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის მმართველად გადაიყვანეს. მზრუნველთა კომიტეტმა სკოლის ხელმძღვანელობა დროებით ამავე სკოლის მასწავლებელს, ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სპირიდონ ჯორჯიკიას დაავალა. იგი მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქუთაისის ქართულ სკოლას.

1888 წლის 20 სექტემბერს ს. ჯორჯიკია გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და სკოლის ხელმძღვანელად ვასილ ყიფიანი დანიშნეს.

1889 წლის სექტემბერში ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ: ინსპექტორი ვ. ყიფიანი; მოსამზადებელი განყოფილების მასწავლებლები: ბ. ვოლსკაია, ნ. ხელთუფლიშვილი, ს. დათეშიძე, თ. მთავრიშვილი; პროგიმნაზიული კლასების მასწავლებლები: დ. კარიჭაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ს. ხუნდაძე, ა. გარსევანიშვილი (პედსაბჭოს მდივანი), შ. ჩინჩალაძე, ს. ჯორჯიკია, ვ. ვოიცეხოვსკი, ს. მატარაძე, ნ. ღოღობერიძე; აღმზრდელები – ს. ხოჯევანიშვილი და ბ. ნიჟარაძე. ეს უკანასკნელი 1892 წელს მღვდლად წავიდა სვანეთში და მის ნაცვლად მოინვიეს გორის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული დ. ლორთქიფანიძე, რომელიც ბოლომდე შერჩა სასწავლებელს.

პირველ ხანებში სკოლა მდებარეობდა ორპირის ქუჩაზე, ქველმოქმედ ანტონ ლორთქიფანიძის სახლში, შემდეგ დაიქირავეს ბანკის მმართველის ივანე ჯაიანის სახლი.

1907-1913 წლებში კი, სათავადაზნაურო ბანკის შეწევნით, აშენდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მშვენიერი შენობა.

„ქართულ სკოლას, რომელიც ხალხში „ბანკის სკოლის“ სახელით იყო ცნობილი, რჩებოდა სხვა სასწავლებლისათვის მოსამზადებელი სკოლის ხასიათი“. სკოლა საკმაო თანხებს გაიღებდა ხოლმე ბიუჯეტიდან იმისათვის, რომ არდადეგებზე გიმნაზიაში შესასვლელად მოემზადებინა მოსწავლეები.

1890 წლიდან სააზნაურო სკოლაში გაძლიერდა რუსული ენის სწავლება იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებულ ახალგაზრდას საშუალება მისცემოდა, გაუჭირვებლად ესწავლა მთავრობის სასწავლებლებში. პირველ სამ განყოფილებაში რუსული არ ისწავლებოდა, მეოთხე განყოფილებაში კი კვირაში 33 საათი დაეთმო. ამ დროს ქართულს მხოლოდ 21 საათი დარჩა. ეს ნაბიჯი შეიძლება ჩაითვალოს ხელმძღვანელობის აუცილებელ ზრუნვად სკოლის დახურვის გადარჩენისა და მოსწავლეებისათვის პრივილეგირებული მდგომარეობის მინიჭებისათვის.

საერთოდ, სააზნაურო სკოლას, რადგან ის ქართული იყო, ხელისუფლების ზედმეტი მეთვალყურეობა მუდამ აწუხებდა. ამიტომ საჭირო იყო მათი ყურადღების მოდუნება. ასე რომ, ერთი პატარა დათმობით ორი საქმე კეთდებოდა. ასეთი ელასტიური მოქმედებებით ინარჩუნებდა სააზნაურო სკოლა თავის არსებობას თვით რევოლუციური გამოსვლების დროსაც, მაშინ, როცა კლასიკურ გიმნაზიასა და სასულიერო სემინარიას დახურვით ემუქრებოდნენ. ის ხერხები, რომელსაც ქართველი საზოგადოება მიმართავდა ხელსაყრელი პოზიციის შესანარჩუნებლად, ქუთაისის ქართული სკოლის შემთხვევაშიც იქნა გამოყენებული. იმავეს ისახავდა მიზნად სხვა, უფრო ადრინდელი „ინიციატივაც“. 1880 წლის 25 ოქტომბერს ქუთაისის თავადაზნაურობის საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა, ქუთაისის ქართულ სკოლას დარქმეოდა რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის სახელი. 1881 წლის 28 იანვარს მეფე ალექსანდრე II-ს შუამდგომლობაზე წაუწერია: *„თანახმა ვარ და მადლობელი“.*

მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ჩვენი თავადაზნაურობის მიერ ბევრჯერ იქნა გამოყენებული, სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი და განათლების სამინისტრო კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ სკოლის სრულყოფას. *„ქუთაისის თავადაზნაურობის მოთხოვნის აღსრულება – დაწყებითი კლასები ჩამოშორებოდა საგიმნაზიო კლასებს და ეს უკანასკნელი კი კერძო სასწავლებლის უფლებით დაქვემდებარებოდა თავადაზნაურობას, გაჭიანურდა; საბოლოოდ დაძლეულ იქნა წინააღმდეგობა. 1904 წლის 29 ივლისს მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორმა შეატყობინა სასწავლო ოლქის მზრუნველს ზავადსკის, რომ მთავარმართებელი გოლიცინი თანახმა იყო, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა გადაკეთებულიყო პროგიმნაზიად და იგი დაქვემდებარებოდა, როგორც კერძო სასწავლებელი ქუთაისის თავადაზნაურობას“.*

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო ოლქის მზრუნველმა კვლავ ხელის შეშლა დააპირა, 1905 წლის 2 თებერვალს, განათლების მინისტრის გლაზოვის ნებართვით, სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა. ამიერიდან აქ განათლებამიღებულებს სიმწიფის ატესტატი მიეცემოდათ, უნივერსიტეტში შესვლის უფლებით, რაც დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ქუთაისის გუბერნიისათვის. აქამდე მხოლოდ კლასიკურ გიმნაზიადამთავრებულ ახალგაზრდას შეეძლო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. კლასიკურ გიმნაზიას კი, ნლიურად, საშუალოდ, მხოლოდ 20-25 მოსწავლე ამთავრებდა, მაშინ, როდესაც ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა მილიონს შეადგენდა.

ასე რომ, 1905 წლის დასაწყისში ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლა კერძო გიმნაზიად გადაკეთდა. მე-5 კლასში ჩაირიცხა 38 მოსწავლე, მათგან: 1904 წელს ამავე სკოლის კურსდამთავრებული – 21, 1903 წელს კურსდამთავრებული – 4, ქუთაისის სამთავრობო გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე – 5, სემინარიის მოსწავლე – 8.

ქართული სკოლის პირველი ხელმძღვანელები იყვნენ: ალექსი ჭიჭინაძე (1800-1886), სპირიდონ ჯორჯიკია (1886-1888), ვასილ ყიფიანი (1888-1895), სიმონ ღოღობერიძე (1895-1897), ალექსანდრე გარსევანიშვილი (1897-1900).

1901 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, იაკობ გოგებაშვილის მითითებით, ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული სკოლის ხელმძღვანელად დანიშნა ახალგაზრდა პედაგოგი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე – იოსებ ოცხელი (1901-1919). შემდეგი დირექტორი იყო სილოვან ხუნდაძე (1919-1920).

როგორც აღინიშნა, 1905 წლიდან ქუთაისს უკვე ჰქონდა სრულყოფილი ქართული გიმნაზია. ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, გიმნაზიის დირექტორმა იოსებ ოცხელმა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები შემოიკრიბა და მათგან ძლიერი პედაგოგიური კოლექტივი შექმნა. ესენი იყვნენ: სილოვან ხუნდაძე, ალექსანდრე გარსევანიშვილი, გერასიმე ცაგარეიშვილი, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე წერეთელი, შემდგომში ცნობილი მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: თ. მთავრიშვილი, დ. უზნაძე, გ. ახვლედიანი, ს. ოცხელი, ი. ნიკოლაიშვილი, ჯ. ჯორჯიკია, ს. შარაძენიძე, ს. რობაქიძე, ი. ეკალაძე, ს. ყიფიანი, ს. ქვარიანი, დ. ოყრეშიძე, დ. ხმალაძე, ა. მოსეშვილი, ე. მიქელაძე, ა. კუჭუხიძე, შ. ელიავა, ნ. ნუცუბიძე და სხვ. სწორედ ამ შესანიშნავ პედაგოგთა ინიციატივით, ქართულ გიმნაზიაში დაარსდა საკვირაო სკოლა, რომელიც 1910 წელს სახალხო უნივერსიტეტად გადაკეთდა.

მოგვიანებით, სწორედ ასეთი პედაგოგების შესახებ იტყვის ლადო ასათიანი: *„ჩვენ უღრმეს პატივს ვცემდით ჩვენს პედაგოგებს, ნამდვილ პატრიოტებს და ქართული პროგრესული დემოკრატიული ინტელიგენციის რჩეულ წარმომადგენლებს, კეთილშობილსა და იდეურ წარმომადგენლებს, რომლებსაც თავისი პროფესია პედაგოგისა მიაჩნდათ არა პირადი კარიერისა და კეთილდღეობის მოსაპოვებელ საშუალებად, არამედ მშობელი ხალხის პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისათვის უანგარო და თავგანწირულ სამსახურად, დიდ საზოგადოებრივ მოვალეობად“.*

„ახლად გახსნილ გიმნაზიას ოფიციალურად ეწოდა ქუთაისის სათავადაზნაურო ქართული კერძო გიმნაზია. ეს სასწავლებელი ქართული იყო იმდენად, რამდენადაც მასში ქართული ენისა და ისტორიის სწავლება სავალდებულო იყო ფართო პროგრამით... ქართველი იყო იქ თითქმის ყველა მოსწავლე და მასწავლებელი. საგნები, გარდა ქართულისა და საქართველოს ისტორიისა, რუსულ ენაზე ისწავლებოდა“.

მალე გიმნაზიის პედაგოგიურმა საბჭომ საგანგებო დავალება მიიღო იმის შესახებაც, რომ უპირატესობა ნიჭიერებისათვის მიენიჭებინათ, წოდების მიუხედავად. პედაგოგებმა დაიწყეს ბრძოლა ყველა საგნის ქართულ ენაზე სწავლებისათვის.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მათი ბედი ბეწვზე ეკიდა და აქ სერიოზულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია. ის, რაც წმიდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში, ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში მოხდა, ქართულ გიმნაზიაში რომ მომხდარიყო, მას მეფის მთავრობა დაუყოვნებლივ დახურავდა. გარდა ამისა, ამ წლებში ქართულ გიმნაზიას ხელმძღვანელობდა იოსებ ოცხელი და მოწინავე პედაგოგიური კოლექტივი. აქ დამკვიდრებულ სიწყნარეს ხელს უწყობდა ქუთაისის გუბერნიის სკოლათა დირექტორი ლევ სემიონოვი, მართალი და კეთილშობილი ადამიანი. მის მიერ მიწოდებული ცნობები მტრულად არ განაწყობდა ოლქის მზრუნველს.

1907-1908 სასწავლო წელს გაიხსნა გიმნაზიის უკანასკნელი გამოსაშვები კლასი. ეს გიმნაზიის პირველი გამოშვება იყო.

1912 წელს დასრულდა გიმნაზიისათვის საკუთარი შენობის აგება და 1913 წელს გადაეცა საექსპლუატაციოდ. შენობის აგება 93 ათასი ოქროს მანეთი დაჯდა. გიმნაზიის შენობის დამთავრება ზეიმით აღინიშნა.

ქუთაისის ქართული გიმნაზია ჭეშმარიტად დიდ კულტურულ კერას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში. აქ განათლებას იღებდა ახალგაზრდობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან: ქალაქ ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრიდან, ზემო იმერეთიდან, სენაკიდან, ზუგდიდიდან, ოზურგეთიდან, რაჭიდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან.

XIX საუკუნის დასასრულიდან ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა რევოლუციურ

საგანმანათლებლო კერა

მოძრაობაში ჩაება. 1902-1903 წლებში, ქუთაისში, შეიქმნა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. ჯაფარიძე, პ. ჭიჭინაძე, ბ. ბიბილეიშვილი, ა. წულუკიძე, ს. ქავთარაძე, პ. საყვარელიძე და სხვები.

მთავრობა საშიშ ძალას ხედავდა ქართული გიმნაზიის მოსწავლეებში. ამის გამო, აქ განსაკუთრებულ კონტროლს აწესებდნენ როგორც სწავლაზე, ისე მოსწავლეებისა და მასწავლებლების მუშაობასა და საქმიანობაზე. რევოლუციონერ მასწავლებლებს დაუნიშნეს გამოცდები და, მიუხედავად ბრწყინვალე პასუხებისა, ისინი მაინც დაითხოვეს. მათ შორის იყო იასონ ნიკოლაიშვილი, რომელსაც ქუთაისის გუბერნიაში ცხოვრებაც კი აუკრძალეს.

იოსებ ოცხელი თავგამოდებით იცავდა ასეთ პედაგოგებს. ასევე მოიქცა ამ შემთხვევაშიც და მოახერხა, რომ ი. ნიკოლაიშვილი, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ, კვლავ დაებრუნებინა გიმნაზიაში პედაგოგად.

მასწავლებელმა ს. რობაქიძემ გიმნაზიაში ჩამოაყალიბა მოსწავლეთა წრე, სადაც ფარულად კითხულობდნენ აკრძალულ ლიტერატურას. პიესის „და-ძმის“ დადგმისათვის მას პოლიცმეისტერმა ლავროვსკიმ მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ აყვანა „მოუხერხა“, ხოლო სპექტაკლი კი ჩაუშალა.

იოსებ ოცხელი გვერდით ედგა რევოლუციურად განწყობილ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. მოუწოდებდა მოსწავლეებს, არ ჩამორჩენოდნენ ქალაქში წამოწყებულ გაფიცვებს, არ ეთქვათ უარი ქვეყანაში გამეფებულ რეჟიმთან ბრძოლაზე.

1917 წელს ქუთაისში შექმნილი მოსწავლეთა რაზმი, რომელშიც გიმნაზიის მოსწავლეთა დიდი ნაწილი შედიოდა, იოსებ ოცხელის დალოცვითა და დარიგებით, გაემგზავრა ტრაპიზონში იარაღის ჩამოსატანად. რაზმმა პირნათლად შეასრულა ეს მნიშვნელოვანი დავალება.

1917 წელს, როცა რუსეთში მეფე ჩამოაგდეს, გიმნაზიაში დიდი ზეიმი გაიმართა.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პედაგოგთა ძლიერი კოჰორტა, ადამიანები, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებულნი არა მარტო ქუთაისთან, არამედ მთელ საქართველოსთან. მათი ძირითადი ნაწილი XX საუკუნის დასაწყისში ასე გამოიყურებოდა: ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე, მ. ჩინჩალაძე, გ. ცაგარეიშვილი, ა. გარსევანიშვილი, ი. აბესაძე, ს. ყიფიანი, თ. მთავრიშვილი, ს. დათეშიძე, ბ. მამფორია, ს. რობაქიძე, დ. ლორთქიფანიძე, ი. ნიკოლაიშვილი, ბ. ვოლსკი, ნ. ხელთუფლიშვილი და სხვები. აქ ჩამოთვლილ პედაგოგთა დიდი ნაწილი საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებსაც ხელმძღვანელობდა, მაგალითად: დრამატულ საზოგადოებას, სახალხო უნივერსიტეტს, ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, საკვირაო სკოლებს, პერიოდულ პრესას და ა. შ.

ქუთაისის გიმნაზიის ბაზაზე, ძველ სენაკში, შეიქმნა ფილიალი – სენაკის სათავადაზ-

ნაურო სასწავლებელი. 1912-1913 სასწავლო წელს ქუთაისის ქართული გიმნაზია, სადაც 1187 მოსწავლე სწავლობდა, ჭეშმარიტად ეროვნულ სასწავლებლად გადაიქცა.

როდესაც 1914 წლის 1 ივლისის კანონი გამოვიდა, რომლითაც კერძო სასწავლებლების ხელმძღვანელებს უფლება ეძლეოდათ, საგნების სწავლება არარუსულ ენაზეც წარემართათ, თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიების პედაგოგებმა განიზრახეს, ქართულ ენაზე შეედგინათ სახელმძღვანელოები. ამ საქმეს სათავეში ქუთაისის ქართული გიმნაზია ჩაუდგა. მათ თითქმის ყველა კლასის ქართული სახელმძღვანელო შექმნეს და მთელი საქართველოც მეტწილად ქუთაისში გამოცემული წიგნებით დააკმაყოფილეს. ეს ჭეშმარიტად ეროვნული საქმე დიდი ცოდნითა და გულისყურით იქნა შესრულებული.

ქართული გიმნაზიის შეფასება ქუთაისის სახალხო სკოლათა დირექტორმა – ლევ სემიონოვმა, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებამ, ასეთი სიტყვებით გამოხატა: *„ვესწრებოდი რა ყველა გამოცდას და მქონდა რა შესაძლებლობა მედევნებინა თვალყური ყველაფრისათვის, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა, მე დავრწმუნდი იმაში, რომ სწავლისა და აღზრდის საქმე ქუთაისის კერძო სააზნაურო გიმნაზიაში დაყენებულია საჭირო სიმაღლეზე. სკოლამ საქმისადმი ბეჯითი დამოკიდებულებით შეძლო არა მარტო „ცოდნის გადაცემა“ მოწაფეებისათვის, არამედ შეუსრულებია კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა – ჩაუნერგია სიყვარული შრომისადმი, რომელიც დედამიწაზე ბედნიერების წყაროს წარმოადგენს და პატივისცემა უფროსებისადმი. მე გამოცდების მსვლელობაში არ მქონია შემთხვევა, მოწმე ვყოფილიყავი მოწაფეთა მხრით რაიმე ისეთი საქციელისა, რომელიც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა უადგილო გამოსვლად: მოწაფეებს თავი სანიმუშოდ ეჭირათ“.*

იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის აღზრდილ მოსწავლეთა შორის იყვნენ: მწერალი აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, აკადემიკოსები – გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე ერისთავი, ვარლამ თოფურია, დავით ლორთქიფანიძე, ირაკლი მიქელაძე, პეტრე ქავთარაძე; პროფესორები – კუკური კანდელაკი, ალექსანდრე წერეთელი, უშანგი ობოლაძე, აკაკი ფაღავა, არჩილ ფანცხავა, პლატონ შუშანია, ალექსანდრე ბრეგვაძე, პანტელეიმონ ბერაძე, ტერენტი კაკუშაძე, ტროფიმე ხუნდაძე, გიორგი ფხალაძე, ძმები დავით, ვარლამ და კარპეზ დონდუები, ალექსანდრე ასათიანი, სერგო ბუაძე, ნიკოლოზ დემეტრაძე; მწერლები – აკაკი ბელიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ლევან ასათიანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, დავით ჩხეიძე; კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი; რეჟისორი ივანე პატარიძე; სახალხო არტისტები – აკაკი ვასაძე, დიმიტრი მჭედლიძე; კინორეჟისორები – ნიკოლოზ შენგელაია, დავით რონდელი; გამომცემლობა „განათლების“ ღვაწლმოსილი მუშაკი ალექსანდრე გაბესკირია და მრავალი სხვ.

1919 წლის 27 თებერვალს ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა, 54 წლის ასაკში გარდაიცვალა ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი, ჭეშმარი საზოგადო მოღვაწე და საუკეთესო ქართველი პედაგოგი იოსებ ოცხელი.

საქართველოში უპირველესი როლი მიუძღვის ქუთაისის ქართულ გიმნაზიას, რომლის მოწინავე მასწავლებლებმა შექმნეს სახელმძღვანელოები თითქმის ყველა დისციპლინისათვის. მისი სახელოვანი პედაგოგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პროფესორები და ქართული მეცნიერების ფუძემდებლები იყვნენ. ამ გიმნაზიის მასწავლებლები, უნივერსიტეტის გარდა, ამშვენებდნენ ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს. *„სიამაყის გრძნობა მომიცავს, როცა ვიგონებ, რომ ამ მასწავლებლების ერთ-ერთი მოწაფეთაგანი ვიყავი,“* – ასეთ შეფასებას აძლევდა ცნობილი მეცნიერი ვარლამ თოფურია ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას.

ამგვარად, ქუთაისის ქართულმა სათავადაზნაურო გიმნაზიამ, თავისი სახელოვანი არსებობის ოთხი ათეული წლის მანძილზე (1880-1920), უდიდესი სამსახური გაუწია დედასამშობლოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ქუთაისის ყოფილი ქართული გიმნაზია ატარებდა სოციალურ-ჰუმანიტარული ტექნიკუმის სახელწოდებას. შემდეგ რამდენიმე სახეცვლილება მოხდა და ბოლოს, დიდხანს, მეორე საშუალო სკოლად იწოდებოდა (ამჟამად – ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის გიმნაზია).

ლია გაბუნია
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი.
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

გურამ გაბუნია
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი იწყებს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ტრენინგებს მასწავლებელთათვის და სკოლების ადმინისტრაციისთვის. ამასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ ბრიფინგი გამართეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა დაასრულა მუშაობა 2011-2016 წლების ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, რის შემდგომაც იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი – სასწავლო გეგმის დანერგვა. დანერგვის პროცესი 2011-2012 სასწავლო წელს I-VI კლასებში დაიწყება.

საქართველოს მასშტაბით, 30 სატრენინგო ცენტრში, ივნისი-ივლისი-აგვისტოს თვეების განმავლობაში, 8 000-ზე მეტი დაწყებითი საფეხურის პედაგოგი და 500 სკოლის დირექტორი გადამზადდება შემდეგი მიმართულებებით:

- ხუთი წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი;
- ჩვენი საქართველო;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობა – ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციული ნაწილი;
- ქართული ენა და ლიტერატურა;
- მათემატიკა;
- ინგლისური ენა;
- ბუნებისმეტყველება;
- მუსიკა;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
- სპორტი;
- ინკლუზიური განათლება.

ცენტრის, მოწვეული ექსპერტებისა და ფსიქოლოგების მიერ შეიქმნა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგნობრივი გზამკვლევები, მასწავლებელთა ტრენინგ-მოდულები, მზადდება ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის სხვა ხელშემწყობი მასალები.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: (+995 32) 247 50 16

* * *

მანდატურებს და გლდანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს კინოთეატრმა „რუსთაველმა“ უმასპინძლა. სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და კინოთეატრ „რუსთაველის“ ერთობლივი აქციის ფარგლებში მოზარდებმა საბავშვო ფილმი „იქს მენი“ იხილეს. აქციის ფარგლებში, ბავშვებს მანდატურებმა საჩუქრები გადასცეს.

მანდატურების თქმით, ასეთ აქციებში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მათი სურვილია თავადაც შეიტანონ გარკვეული წვლილი ბავშვების სწორად აღზრდაში. სკოლის მანდატურის სამსახური მოზარდებს მომავალშიც არაერთ სიურპრიზს ჰპირდება.

უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ახალი ინიციატივის მიზანია, სწავლის პერიოდში მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

ხელოვნებაა თავად უკვდავება

იმ მზიან დღეს ვარდის სურნელი იგრძნობოდა სკოლის დარბაზში.

სენ-სანსის „გედის“ ფონზე სტუმრებს ღიმილით მიესალმნენ IV1 კლასის მოსწავლეები და მხატვრობის შესახებ ისაუბრეს. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის ცნობილი მხატვრები და გაიხარეს, რომ მათი გაცნობა ერეკლე მეფის სატახტო ქალაქ თელავში მოხდა.

ნიკალას, ლადო გუდიაშვილს, ელენე ახვლედიანს, ქეთევან მაღალაშვილს, რენუარს, მანეს, სეზანს, ვან გოგს, სალვადორ დალის, მონესა და სხვა მხატვრებს გარეგნულად მიმსგავსებულმა IV-კლასელებმა იყალთოს ტაძრის ნახვის შემდეგ გადაწყვიტეს საქველმოქმედო აქცია მოეწყოთ და საიდუმლო სეროების ხატი შეეძინათ.

ცრემლმორეულმა ნიკალამ სტუმრებისადმი მადლიერება გამოხატა და კახური სტუმარ-მასპინძლობით მიმართა: *„მადლობა სტუმრობისთვის! ღმერთმა დაგილოცოთ მარჯვენა! გჯეროდეთ, მე თქვენ ყველა მიყვარხართ, ბატონებო! გთხოვთ, როდესაც აუქციონი დამთავრდება, ყველა ერთად შემოვუსხდეთ სამოვარს და ხელოვნებასა და ბავშვებზე ბევრი, ბევრი ვისაუბროთ!“*

ევროპელი მხატვრები ჯერ ყარაჩოხელების ცეკვამ მოხიბლა და შემდეგ კი დაიწყო აუქციონი. საყვარელ მხატვარს მიმსგავსებული მოსწავლეები საუბრობდნენ მათი ცხოვრების შესახებ და წარმოადგინეს ნახატებიც.

ვარდებით მორთულ სცენაზე იყო სხვადასხვა ჟანრის უმშვენიერესი ნახატები. დებიუსის „მთვარის შუქზე“ ამეტყველებულმა პატარებმა უდიდესი სიყვარული გამოხატეს ხელოვნების მიმართ.

პატარა **ნატალი ჯიდალიშვილის** „ჯეირანს“ უემოციოდ ვერ უყურეს. ყველა მხატვარი დაჩოქილიყო და აპლოდისმენტებით გამოხატავდნენ აღტაცებას.

ბოლოს, იმპრესიონისტმა მონემ სტუმრებს ასე მიმართა: *„ბატონებო, აუქციონზე გამომაქვს „მზის ამოსვლა“. მინდა, ყველა ბავშვისთვის შთამბეჭდავად ამოვიდეს მზე! გთხოვთ, ბატონებო, გთხოვთ! შეიძინეთ ჩვენი ნახატები, რომ ყველასთვის ერთად შთამბეჭდავად ანათებდეს დიდი მზე!“.*

IV[1] კლასელთა ამ საინტერესო ღონისძიებას ესწრებოდნენ მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნანა თვალიაშვილმა** კმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა, რომ მსგავსი შემეცნებით-შემოქმედებითი ღონისძიებები მოსწავლეთა ცოდნის დონეს ამაღლებს და სასკოლო ცხოვრებასაც შინაარსიანად წარმართავს.

დარბაზში მყოფნი მადლიერებას გამოხატავდნენ „პატარა მხატვრების“ მიმართ. იმ დღეს ყველამ ერთად, კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ „ხელოვნებაა თავად უკვდავება“.

ნათელა ჯიმშიტაშვილი
თელავის №9 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

კიდევ ერთი წარმატებული სასწავლო წელი

ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლა სამაგალითოა თბილისში არა მარტო ასწლიანი ისტორიითა და მდიდარი ტრადიციებით, არამედ კვალიფიციური პედაგოგებითა და სწავლების მაღალი ხარისხით, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა საატესტატო გამოცდებითაც – სკოლას წელს ოთხი მედალოსანი ჰყავს, ესენია: **ქეთევან მურღულია, ნატო სამხარაძე, სოფო ჯამრულიძე** და **სვეტა დემირჩევა.**

სხვადასხვა დროს 43-ე სკოლას მართლაც რომ ღირსეული დირექტორები ხელმძღვანელობდნენ. მათ რიცხვს ახლახან შეემატა ქალბატონი **ნაირა ბახია**. იგი ახალი იდეებით შეუდგა სასკოლო ცხოვრების კიდევ უფრო გამრავალფეროვნებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების რთულ საქმეს. პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად მას მხარში უდგას მოადგილე, გამოცდილი პედაგოგი **ელზა ჯიბილიანი**.

სასკოლო რეფორმა განსაკუთრებულ მოთხოვნებს პედაგოგებს გვიყენებს. ამიტომაც სისტემატურად ვესწრებით სემინარებსა და ტრენინგებს. ჩვენი სკოლის 7 პედაგოგი უკვე დარეგისტრირდა სასერტიფიკაციო გამოცდებზე გასასვლელად, დანარჩენები მომავალში გაივლიან და ამისათვის სერიოზულად ემზადებიან.

სასწავლო წლის ბოლოს, ერთგვარად, ვაჯამებთ ხოლმე შედეგებს. უნდა ითქვას, რომ ყველა პარამეტრის მიხედვით ჩვენმა მოსწავლეებმა კარგი შედეგები აჩვენეს. თუმცა განსაკუთრებულ მოვლენად მაინც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ ჩვენი სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების დალოცვას დავასახელებდი. მით უმეტეს, რომ მოსწავლეთა სულიერ აღზრდას აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. წლის განმავლობაში ამ მიმართულებით არა ერთი ღონისძიება თუ საღამო, გამოფენა და კონკურსი ჩატარდა. ნაყოფიერი იყო ეს სასწავლო წელი სკოლისა თუ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა სესიებში, კონფერენციებსა და ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეებისათვის. გაგაცნობთ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულებს: საქართველოს ისტორია – **კატერინა მურღულია** და **ირინა ივანიძე**, X კლასი (პედაგოგი – **ჯუმბერ კვანტალიანი**); ქართული ენა და ლიტერატურა – **ქეთევან სადრაძე**, VIII კლასი (პედაგოგი – **იზა ჩომახიძე**); არქიტექტურა და საინჟინრო გრაფიკა – **იური ანდრეევი, ანა ვართანოვა**, XI კლასი (პედაგოგი – **ირინა მარქაროვა**); მათემატიკა – **ნიკა ვართანოვი**, VIII კლასი (პედაგოგი – **ნინო შავიშვილი**); ეკოლოგია და გარემოს დაცვა – **მარიამ ჩალაძე** (პედაგოგი – **ნესტან მშვენიერაძე**); უცხო ენა – **ირინა მირალი, მარიამ აგაჯანოვა, მიხეილ პარუნოვი** და **ვიკა მახარაძე**, VIII კლასი (პედაგოგი – **ჟანა ნერსესიანი**); მეთერთმეტეკლასელი **ნოდარ მელქაძე** კი, რომელმაც გეოგრაფიის ოლიმპიადაში გაიმარჯვა, სხვა გამარჯვებულებთან ერთად, წყნეთში, ახალგაზრდულ ბანაკში დაისვენებს.

ბავშვთა საერთაშორისო ურთიერთობათა სესიაში მონაწილეთაგან გამარჯვება მოიპოვეს: **მარიამ კუტალაძემ, ანა ვართანოვამ, დიანა მიქაელიანმა** (XI კლასი) და **მარიამ ფიფიამ** (X კლასი), რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პედაგოგს, ელზა ჯიბილიანს.

სასწავლო წლის დასასრული, შეიძლება ითქვას, რომ თეატრალური მარათონით აღინიშნა და განსაკუთრებით აქტიურები დაწყებითი საფეხურის კურსდამთავრებულები იყვნენ. IV კლასის ხელმძღვანელმა **ხათუნა რაინაულმა**, რეჟისორების – **როლანდ** და **გიორგი ქარდავების** დახმარებით, კინოფილმის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ თეატრალური ვერსია წარმოადგინეს **ელენე წიქარიძის** (ტასია), **ლუკა გოგიშვილის** (გუჯა) და **ლევან ტოტოლიაშვილის** (კოსტაია) მონაწილეობით. ეს ბავშვები შარშან ყოველწლიური ფესტივალის, „ოქროს თევზი“ გამარჯვებულები არიან; შთამბეჭდავი იყო აგრეთვე ორივე სექტორის ერთობლივი ღონისძიება, რომელიც ქალბატონებმა **ლეილა ხარაიძემ** და **ანგელინა ვართანიანმა** მოამზადეს.

სკოლის დირექტორმა შეაფასა თითოეული ღონისძიება, მადლობა გადაუხადა მონაწილეებსა და პედაგოგებს და წარჩინებულები სიგელებით დააჯილდოვა, რაც არა მარტო სიურპრიზი იყო, დიდი სტიმულიც იქნება თითოეული მათგანისთვის.

„ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველი წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამქვეყნად არ შეუძლია“. ილიას სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ჩვენი საზრუნავია მოსწავლის ისეთი ცოდნით შეიარაღება, რომ არა მარტო გაძლოს, არამედ ხეირიც ნახოს ამ ქვეყანაზე.

ქეთევან მამალაძე
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ინფორმაცია

* * *

სამწუხაროდ, ერთ-ერთი მედიასაშუალების მეშვეობით გავრცელდა ცრუ ინფორმაცია სერტიფიცირებულ პედაგოგთა საათობრივი განაკვეთის შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მინისტრის №576 ბრძანების თანახმად, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, ყველა სერტიფიცირებულ პედაგოგს მისცეს სრული ან სრულზე მეტი განაკვეთი. შესაბამისი ბრძანება და ინსტრუქცია გადაგზავნილია საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ სამინისტროს მიერ მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის გამოცხადებული ფოტოკონკურსის „მე ვამაყობ...“ გამარჯვებული სტუდენტი დავით დოხტურიშვილი პორტატული კომპიუტერით დააჯილდოვა.

ფოტოკონკურსის „მე ვამაყობ...“ პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მსურველს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ facebook-ის გვერდზე (Ministry of Education and Science of Georgia) უნდა აეტვირთა ფოტო. ატვირთული მასალა პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო თემატიკასთან.

სამინისტროს facebook-ის გვერდზე, რომელსაც უკვე 9000-მდე მომხმარებელი ჰყავს, საკონკურსოდ სხვადასხვა სიუჟეტის 200-მდე ფოტომასალა განთავსდა. ყველა მათგანი თემატიკას პასუხობდა და კარგად ასახავდა მონაწილეთა კონკურსისადმი დამოკიდებულებას.

კონკურსის ფარგლებში ატვირთული ფოტომასალა ფასდებოდა სოციალური ქსელის მომხმარებელთა მიერ. გამარჯვებული ფოტო Like-ების რაოდენობის მიხედვით გამოვლინდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე ოფიციალური ვებგვერდი აამოქმედა იმ მიზნით, რომ განხორციელებული რეფორმები და განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეები საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის, მათ შორის სოციალური ქსელების მომხმარებელთათვის, ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

სამინისტროს ვებგვერდებზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია ინფორმაცია (ფოტო, ვიდეო) მოიძიოს, მოიწეროს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს. მომხმარებელთა შეკითხვებს 24 საათის განმავლობაში გაეცემა პასუხი. ასევე, სამინისტროს მიერ მომხმარებელთა არც ერთი საინტერესო იდეა არ რჩება უყურადღებოდ. სოციალური ქსელის საშუალებით სამინისტრო მომავალშიც არაერთ საინტერესო და შემეცნებით კონკურსს გამოაცხადებს. 1 ივლისს იწყება ახალი ფოტოკონკურსი „წიგნის მეგობარი“.

სოციალურ ქსელში მომხმარებელს სამინისტროს შემდეგ ოფიციალურ ვებგვერდებზე შეუძლია ნახოს სიუჟეტები, ვიდეოები, ფოტომასალა მიმდინარე სიახლეებისა და რეფორმების შესახებ:

- www.Facebook.com - Ministry of Education and Science of Georgia - www.facebook.com/mes.gov.ge; დიმიტრი შაშკინი/Dimitri Shashkini;
- www.Twitter.com - Educationgovge და DimaShashkini;
- www.Myvideo.ge - Educationgovge;
- www.Youtube.com - Educationgovge;
- www.Flickr.com - Educationgovge.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება სოციალური პარტნიორობის თემაზე გაიმართა და მისი ორგანიზატორები იყვნენ: სამინისტრო, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: დარგობრივი სამინისტროების, პროფესიული კოლეჯებისა და კავშირების, ბიზნეს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომაზე განიხილეს პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის პოლიტიკის დოკუმენტი და ისაუბრეს სოციალური პარტნიორობის მნიშვნელობაზე. დოკუმენტი დაინტერესებული მხარეების მიერ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე შემუშავდა.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ყველა დაინტერესებულ სუბიექტთან სოციალურ პარტნიორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებაა, რაც ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას განაპირობებს, რომელშიც პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, კერძო და სახელმწიფო პროვაიდერები, პროფესიული კავშირები და სახელმწიფო პროფესიული განათლების განვითარებაზე ერთობლივ პასუხისმგებლობას იღებენ.

ასეთი სისტემის არსებობის პირობებში, ყველა დაინტერესებული მხარე სრულფასოვან მონაწილეობას მიიღებს როგორც სასწავლო, ასევე მმართველობით და პოლიტიკის განმსაზღვრელ პროცესებში, რაც, საბოლოო ჯამში, უნდა გახდეს ეკონომიკის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შექმნის მნიშვნელოვანი ბერკეტი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგი თევზაძე ბაკალავრების გამოსაშვებ საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ.

ბაკალავრების გამოსაშვები საზეიმო ღონისძიება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტრადიციულად, ივნისის ბოლო შაბათის დილას იმართება.

2011 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 5 ფაკულტეტის 40-მდე სპეციალობის 2000-ზე მეტი ბაკალავრი ამთავრებს. დიმიტრი შაშკინმა სტუდენტებს უნივერსიტეტის დამთავრება მიულოცა და მომავალი წარმატებები უსურვა. შეკრებილი აუდიტორიის წინაშე გამოსამშვიდობებელი სიტყვით კონკურსში გამარჯვებული კურსდამთავრებული ოთო ხუციშვილი წარდგა.

ილიას სახელწმიფო უნივერსიტეტი იყო პირველი, რომელმაც ბაკალავრების სწავლის დამთავრების ასეთი მასობრივი ღონისძიების ტრადიცია დაამკვიდრა საქართველოში. პირველად, 2007 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მანტიებში გამოწყობილმა ბაკალავრებმა ქუდების აყრით აღნიშნეს მათთვის ახალი ცხოვრების დაწყება.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ილიაუნის როკ-ფესტივალის გამარჯვებულმა სტუდენტურმა ჯგუფმა The Pulse კონცერტი გამართა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ინგლისური ენის სწავლების თემაზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო. კონფერენცია თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში ინგლისური ენის წარმატებულ სწავლებას მიეძღვნა და მასში თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან 100-ზე მეტი პედაგოგი მონაწილეობდა.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ამიერკავკასიაში McMillan Education-ის ექსკლუზიური წარმომადგენლის, კომპანია English Book in Georgia-ს ინიციატივით ჩატარდა.

კონფერენცია მაკმილანის გამომცემლობასთან დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა. ბრიტანელმა ლინგვისტებმა ქართველ მასწავლებლებს ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ლინგვისტიკის პრობლემურ თემებზე ვორქშოფები ჩაუტარეს.

მაკმილანთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, გამომცემლობა უფასოდ გადაამზადებს ყველა ქართველ ინგლისური ენის პედაგოგს და მათ უფასოდ გადასცემს სახელმძღვანელოებს, დამხმარე აუდიო, ვიდეო და ვიზუალურ მასალებს. პროექტის ფარგლებში სულ 4200 მასწავლებელი გადამზადდება. თითოეული მათგანი სამდღიან ტრენინგს გაივლის. ტრენინგებში მონაწილეობას საქართველოს ყველა საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი მიიღებს.

2011 წლის სექტემბრიდან, საქართველოში, მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ მაკმილანის, მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობის მიერ შექმნილი ინგლისური ენის სახელმძღვანელოებით შეისწავლონ ინგლისური ენა.

კონფერენციაზე McMillan Education-ის საერთაშორისო გაყიდვების მენეჯერმა, ჯო გრეგმა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მაკმილანის როლზე ისაუბრა და აღნიშნა: *„ჩვენთვის დიდი პატივია ვიყოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ხედვის შემადგენელი ნაწილი, დაწყებით კლასებში ინგლისური ენის სწავლების საკითხებში. მაკმილანის მიზანია მხარი დაუჭიროს ამ ინოვაციურ პროექტს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად იქნება დიდი წარმატება, მასში ჩართული თითოეული მხარისთვის“.*

საქართველოს მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოს ღირებულება იქნება სტანდარტული ღირებულებისაგან განსხვავებული, მათ შესაძლებლობა ექნებათ სახელმძღვანელო, 26 ლარის ნაცვლად,10 ლარად შეიძინონ.

დღესდღეობით მაკმილანი მსოფლიოში მესამე ადგილზეა ინგლისური ენის სახელმძღვანელოების გამოცემით და ლიდერია ციფრულ საგანმანათლებლო ბეჭდვით სფეროში.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“ მოინახულა. კოლეჯი შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სასწავლო დაწესებულებაა, სადაც სამინისტროსა და დამსაქმებელთა ორგანიზაციების დახმარებით, მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო ინფრასტრუქტურის განახლება, სწავლების ხარისხის ამაღლება, მოწინავე მეთოდების დანერგვა და ახალი პროფესიების ათვისება.

კოლეჯი „პროფესიონალი“ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამის ცოდნასა და უნარებს ყოველწლიურად ასობით სტუდენტს აძლევს. განახლებული სასწავლო პროგრამებით აქ სტუდენტები 10 სპეციალობას ეუფლებიან: საზეინკლო საქმე, ოფსეტური ბეჭდვა, პოლიგრაფიული ბეჭდვა, გობელენის ქსოვა, თექის ნაწარმის ხელით დამზადება და მხატვრულად დამუშავება, ქიმიური ანალიზის ლაბორანტი, კომპიუტერული სისტემების მომსახურება, ჭრა-კერვა, ბუღალტერია, მებაღე-დეკორატორი.

სასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს კურსდამთავრებულთა პოტენციურ დამსაქმებლებთანაც. პროფესიების მიხედვით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა: „საქართველოს მაცნე“, „კარტოგრაფიული ფაბრიკა“, „სტამბა-96“, „მილერი და კომპანია“, ინდ. მეწარმე მანანა ობგაიძე, სრულიად საქართველოს პოლიგრაფისტთა ასოციაცია, „მომავალი საუკუნე“ და სხვ. სასწავლებელს დაგეგმილი აქვს დასაქმების პროცენტი 70%-მდე გაზარდოს.

ახალი სასწავლო წლიდან, კოლეჯში, ახალი სპეციალობები ამოქმედდება: ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი, მემინანქრე, სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლოატაციის ტექნიკოსი, ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი), ღონისძიებათა მომწყობი, სავალი ნაწილების ტექნიკოსი, ტრიკოტაჟის სპეციალისტი.

პროფესიული კოლეჯი „პროფესიონალი“ ახალი სასწავლო წლისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებას, კერძოდ, სასწავლო სახელოსნოების გარემონტებას და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებასაც გეგმავს. ამჟამად, ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტისა და ავტომანქანათა სავალი ნაწილების ტექნიკოსის სახელოსნოების აჭღურვა მიმდინარეობს.

პროფესიული და სახელობო განათლების ახალი კონცეფციის ფარგლებში, განახლებული პროფესიული კოლეჯები ისეთი პრობლემების გადაჭრაში გვეხმარება, როგორიცაა: დასაქმება, ეკონომიკური ზრდა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პროფესიული კოლეჯების მონახულებას მომავალშიც გააგრძელებს და მათ საქმიანობას ადგილზე პირადად გაეცნობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

ინფორმაცია

* * *

25 ივნისს, საფეხბურთო სკოლის „ირაო“ სტადიონზე, გაიმართა აფხაზეთის მთავრობის ტურნირი მინი-ფეხბურთში (ფინალური შეხვედრები). ფინალში I-II ადგილებისთვის იბრძოდნენ აფხაზეთის ჯანდაცვისა და აფხაზეთის რეგიონალური მართვის სამინისტროები, ხოლო III-IV ადგილებისთვის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. აფხაზეთის მთავრობის ტურნირი მინი-ფეხბურთში, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს ორგანიზებით, წელს პირველად მოეწყო.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები აფხაზეთის მთავრობამ დიპლომებითა და სპეციალური თასებით დააჯილდოვა, ხოლო აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებულებს დიპლომები გადასცა.

ტურნირი 20 ივნისს დაიწყო და შეჯიბრში სამინისტროებისა და დეპარტამენტების 12 გუნდი მონაწილეობდა: აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო; აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო; აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრო; აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო; აფხაზეთის რეგიონალური მართვის სამინისტრო; აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტი; აფხაზეთის განსაკუთრებულ დავალებათა სამინისტრო; აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო; აფხაზეთის დევნილთა დეპარტამენტი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭო; აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში.

* * *

25 ივნისს, კინოთეატრ „საქართველოში“ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 150 ბავშვი დაესწრო ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ უფასო კინოჩვენებას. ამერიკულ მხატვრულ ფილმში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომია ასახული. კინოჩვენების ფარგლებში, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ბარამიამ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრმა დალი ხომერიკმა კონკურსში „წლის საუკეთესო თხზულება“ გამარჯვებულ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს დიპლომები გადასცეს.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული ტერიტორიის IX, X, XI კლასელთა მონაწილეობით, რიგით მე-3 კონკურსი გაიმართა. შიდა სასკოლო ტურის შედეგად გამოვლინდა 19 საუკეთესო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: I ადგილი – დიმა ქარჩავა, მე-11 კლასი (აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა); II ადგილი – მარიკა ყოლბაია, მე-10 კლასი (რეჩხის საშუალო სკოლა); III ადგილი – ქეთევან ბულია, მე-10 კლასი (აფხაზეთის №16 საჯარო სკოლა).

კონკურსის მიზანია რუსეთის აგრესიის შედეგებსა და ქვეყნის მშვიდობიანი დეოკუპაციისთვის საჭირო გზებზე აფხაზეთის საჯარო, განსაკუთრებით კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, მოსწავლეების ხედვის წარმოჩენა, მათი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ამაღლება, ახალგაზრდების მოსაზრების გაზიარება საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესზე. გამარჯვებულები, დიპლომებთან ერთად, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

კინოთეატრ „საქართველოს“ ფოიეში მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლეების ნახატების გამოფენა „ნატო მშვიდობის გარანტი“.

* * *

საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში ხელოვნების სკოლამ „აფხაზეთი №1“, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, საანგარიშო კონცერტი გამართა.

საანგარიშო კონცერტში მონაწილეობდნენ როგორც სკოლის მოსწავლეები (I-IX კლასი), ასევე პედაგოგები. საღამო გახსნა საფორტეპიანო განყოფილებამ. მოსწავლეებმა, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რევაზ ტაკიძის ხელმძღვანელობით, ცნობილი ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები დაუკრეს. ღონისძიების ფარგლებში, შედგა „საოპერო სიმღერის სახლის“ აღსაზრდელების სადებიუტო წარმოდგენა. პატარა მუსიკოსებმა ვანო გოკიელის საბავშვო ოპერა „წითელქუდა“ შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ პირველი „საოპერო სიმღერის სახლი“ წელს, მაისში, ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი №1“ ბაზაზე შეიქმნა. აქ მოსწავლეები, უმაღლესი დონის პროფესიონალი პედაგოგების ხელმძღვანელობით, საოპერო მუსიკის (Bel Canto) საშემსრულებლო ტექნიკას ეუფლებიან.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ვოკალის ინდივიდუალური და საანსამბლო შემსრულებლები, ფორტეპიანოს სოლო და კამერული ანსამბლები. ასევე, წარმოდგენილი იყო საორკესტრო, გიტარის, კამერული ანსამბლის, სოლო და საესტრადო, ხალხური შემოქმედების განყოფილებები, ფოლკლორული ჯგუფები.

* * *

23 ივნისს აფხაზეთის საჯარო სკოლის 25 მოსწავლე ეწვია ს.ს. „ლომისის“ და შ.პ.ს. „ბარამბოს“ ქარხნებს. ბავშვები გაეცნენ ცნობილი ბრენდების წარმოების ტექნოლოგიას, ტექნოლოგიის დარგის მნიშვნელობას და მის წვლილს ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ღონისძიება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პროგრამის „საქართველოს წარმატებული ბიზნეს საწარმოების გაცნობა“ ნაწილია, რომლის ფარგლებშიც, წლის განმავლობაში, აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდები სტუმრობენ თბილისში მდებარე სხვადასხვა წარმატებულ ბიზნეს საწარმოებს და ეცნობიან ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკასა და თავისებურებებს, მათ მნიშვნელობას

ქვეყნის ეკონომიკასა და მცირე-საშუალო ბიზნესში.

მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოზარდებს პროფესიის არჩევაში, სწორი გადაწყვეტილების მიღებასა და მომავლის სწორად დაგეგმვაში.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პრესცენტრი

* * *

28 ივლისს მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სტუმრად ეწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აიდა აბუსერიძე, ბავშთა ფოლკლორული ანსამბლ „თოლიას“ ხელმძღვანელი ეთერ დარჩიძე და საჩუქრად გადასცეს პოლონეთში არსებული საქველმოქმედო ფონდის „ღიმილიანი სახეები“ მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ფონდის „ღიმილიანი სახეები“ ორგანიზებით, რომლის ხელმძღვანელია ჩვენი თანამემამულე აიდა კოსოიანი, ტრადიციულად, გაზაფხულზე იმართება საქველმოქმედო კონცერტები სხვადასხვა ქვეყნების ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით. ბოლო 2 წელია, საქველმოქმედო კონცერტში ბათუმში არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „თოლია“ მონაწი-

ლეობს. კონცერტზე შემოსული თანხა და შემოწირულობები ბავშვთა სახლებს გადაეცემათ. მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს დიდი სიხარული მიანიჭა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის მიერ გამართულმა კონცერტმა და პოლონეთიდან გამოგზავნილმა საჩუქრებმა.

* * *

მშვილდოსნობაში აჭარის ვაჟთა და გოგონათა ნაკრებები მონაწილეობდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის ქალაქ ურუმიეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში 30 მეტრ დისტანციაზე სროლაში, რომელშიც, ასევე, ირანის დასავლეთ აზერბაიჯანის სამხარეო ადმინისტრაციის 7 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

ტურნირის შედეგები:

გოგონები

I ადგილი – ნათია ცინცაძე, II ადგილი – თეონა ფარსენაძე.

ვაჟები

I ადგილი – სანდრო აზნაურიძე, II ადგილი – გიორგი შაინიძე, III ადგილი – ტარიელ ქადიძე.

გუნდური

I ადგილი – აჭარის ვაჟთა და გოგონათა ნაკრები.

გამარჯვებული სპორტსმენები ფასიანი საჩუქრებით, თასებით, სიგელებითა და მედლებით დააჯილდოვეს. აღნიშნულ ტურნირს ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ჯიოშვილი და სამინისტროს წარმომადგენლები.

* * *

27 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ლამზირა ბოლქვაძე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ძმაგულას საჯარო სკოლას ესტუმრა. მან პედაგოგებს სააატესტატო გამოცდების დროს მიღწეული წარმატებები მიუ-

ლოცა, მადლობა გადაუხადა იმ შრომისა და პროფესიონალიზმისათვის, რამაც ესოდენ მაღალი შედეგი განაპირობა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ, ასევე, სოფელ თაგოს საბაზო სკოლა დაათვალიერა და პედაგოგთა შეკითხვებს მათთვის საინტერესო თემებზე ამომწურავი პასუხები გასცა.

* * *

24 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორი ალიოშა ბაკურიძე და ლექტორ-მასწავლებლები პასუხობდნენ. მინისტრმა იმ პროექტების შესახებ ისაუბრა, რომელსაც აჭარის მთავრობა სტუდენტების მხარდასაჭერად ახორციელებს.

* * *

20 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გია აბულაძემ და აჭარის ა.(ა.)ი.პ. განათლების ფონდის დირექტორმა ირაკლი თავბერიძემა ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პროგრამით უფასო ინგლისური ენის კურსდამთავრებულ 100 მსმენელს სერტიფიკატები გადასცეს. ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის თითოეული ეტაპი სამთვიანია. თვეში ერთხელ, განვლილი მასალის მიხედვით, მსმენელებს ტესტირება უტარდებათ. პირველი ეტაპი 1000-მა მსმენელმა დაასრულა. დღეისათვის დარეგისტრირებულია – 3017 მსმენელი.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ მსმენელებს პირველი ეტაპის დასრულება მიულოცა და წარმატებები უსურვა. აღნიშნა, რომ ამ კურსების მიზანი საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა და მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაა. პირველ ეტაპზე, განათლების ფონდმა მსურველებს ინგლისური ენის უფასო კურსები შესთავაზა. ფონდს ყველა მუნიციპალიტეტში აქვს ცენტრები. მსმენელებს სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ.

აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პრესცენტრი

გამოფენა

უნიკალური საგანძური ხელოვნების მუზეუმში



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დავით არსენიშვილის საგამოფენო დარბაზში უნიკალური საგანძური გამოიფინა – XIV-XV საუკუნეების ხელნაწერები, ორბელიანებისა და ამილახვრების ალბომები და XIX საუკუნის „ვაიანგი“.

XIV-XV საუკუნეების ლათინური ხელნაწერი ნოტები (საგალობლები), რომელთაც საქართველოში ანალოგი არ მოეპოვებათ, ორღანისათვის შეიქმნა და პერგამენტზეა შესრულებული, გაფორმებულია საზედაო ასოებითა და ნევმებით. ხელნაწერები მსოფლიოში მუსიკისა და სანოტო ხელოვნების განვითარების ისტორიას ასახავს. XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული ლათინური ხელნაწერები – ავე მარიასა და ალილუიას საგალობლები – საგუნდო შესრულებისთვის გამოიყენებოდა. გეომეტრიული ფიგურების ფორმის მუსიკალური ნიშნები ოთხხაზიან და ხუთხაზიან სისტემაზეა განლაგებული. საგალობლების დედნები აღარ არსებობს, მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემონახული.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო 1845 წლით დათარიღებული, ტყავისაგან დამზადებული ინდონეზიური ე.წ. „ვაიანგის“, ანუ შუქჩრდილების მარიონეტი.

„ვაიანგი“ მარიონეტების თეატრის მსოფლიოში ყველაზე ძველი და პოპულარული ფორმაა. შუქრჩდილების წარმოდგენით XIX საუკუნის საქართველოშიც იყვნენ გატაცებული. აღნიშნული ტიპის ექსპონატი მუზეუმის დამაარსებლის, **დავით არსენიშვილის**, კოლექციაშიც ინახებოდა, თუმცა საბჭოთა პერიოდში იგი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. იდენტური ექსპონატი, სამინისტროს თანადგომით და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, **მაკა ბაუერის** დახმარებით, მუზეუმმა მიმდინარე წელს საფრანგეთში შეიძინა.

პირველად გამოიფინა ბაგრატიონებისა და ორბელიანების საგვარეულო ძვირფასი მემორიალური ალბომები. აღნიშნული ხელოვნების ნიმუშები გაფორმებულია ვერცხლისა და ოქროს ორნამენტებით და დამშვენებულია ქართული სამეფო ატრიბუტიკით.

დამთვალიერებელმა იხილა **ნუცა ერისთავის** მიერ მუზეუმისათვის საჩუქრად გადმოცემული ამილახვართა ფოტოალბომები.

10 უნიკალური ალბომი ფართო საზოგადოებისათვის მანამდე უცნობ ძვირფას ფოტოებს შეიცავს, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1924 წლის აჯანყების დროს დახვრეტილ ქართველ თავადთა ფოტოები. კოლექციაში ასევე დაცულია დადიანების, ჯანდიერების, თარხან-მოურავების, ერისთავების, სუმბათაშვილებისა და სხვა ბრწყინვალე გვარების წარმომადგენელთა დღემდე უცნობი ფოტოები. 1600-მდე ფოტოზე ასახული საგვარეულო ისტორია, მართლაც ბევრ საინტერესო და უცნობ დეტალს ამხელს – *„აქ არის ზოგი სურათი, რომელიც არსად არ ფიგურირებდა და არავინ იცოდა ამ ფოტოს შესახებ, ზოგიც ნაკლებად ცნობილი ფოტოა“* – განაცხადა **ნუცა ერისთავმა.**

უნიკალურ ფოტოთა შორისაა ნიკოლოზ ერისთავისა და მისი მეუღლის, თამარა ტამაშევას ეგვიპტეში მოგზაურობის ამსახველი კადრები.

გიორგი კალანდია, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი: *„სამეფო გვარის შთამომავლების პირად არქივებში ხშირად ბევრი ისეთი ნივთი და ექსპონატი ინახება, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას უკავშირდება. ნუციკო ერისთავმა, რომელიც ქვემოჭალელ ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელია, პირადი არქივის საკმაოდ დიდი ნაწილი გადმოგვცა. ფოტოალბომებთან ერთად, საგვარეულო დოკუმენტებიცაა, რომელსაც გადაუდებელი რესტავრაცია ესაჭიროება და მუზეუმი ამის ბრწყინვალე საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი დოკუმენტი საქართველოს მეფის, გიორგი XII-ის და დედოფლის, მარიამ ციციშვილის, მიერ გაცემული სიგელია, რომლის ძალითაც, ციციშვილებს, გიორგისა და ქაიხოსროს, ებოძათ ხალვათხანის ეშიკაბაღაშობა, ანუ მეფის ფლიგერ ადიუტანტობა. ამ დოკუმენტის რესტავრაცია უკვე დაწყებულია. მეორე დოკუმენტი გახლავთ მოწმობა, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII ეშიკაბაღაშის, გიორგი ციციშვილის მეუღლე ნინო ციციშვილი ვერ იღებს რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისგან სათანადო ფინანსურ დახმარებას. ეს დოკუმენტი პოლიტიკური ისტორიისთვის საინტერესოა, რადგან აქედანაც ჩანს, რომ რუსეთი თავის პირობას არასდროს ასრულებდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის ასლიც XIX საუკუნით თარიღდება და ამ ასლის არსებობა უცნობი იყო, დამოწმებულია ყაენის ფეხთამტვერის – როსტომ ხან X-ის და მეფე ნაზარალიხანის მიერ. ეს დოკუმენტი გვიყვება გიორგი სააკაძის თავგადასავალს, რომელიც ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ ამ დოკუმენტში ხატოვანი ენითაა მეფის მიერ მოთხრობილი. დამეთანხმებით, რომ ასეთი დოკუმენტების ჩვენს მუზეუმში მოხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია“.*

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, თბილისის საჯარო სკოლების 231 წარჩინებულ კურსდამთავრებულს ოქროს მედლები გადასცა.

სასწავლო პროცესში, გარდა სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნისა, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებული მოსწავლეების წარმოჩენაა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს აკადემიური მოსწრებისადმი პატივისცემის ამაღლებას.

ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პრეზიდენტის ინიციატივით, „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამას“ ახორციელებს, რომლის ფარგლებშიც, 2010-2011 წლისათვის, 877 ოქროსა და 1122 ვერცხლის მედალი გაიცემა.

მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები „ეროვნული სასწავლო გეგმით“ რეგულირდება. 2010-2011 სასწავლო წლის წარჩინებით სკოლადამთავრებულებისათვის სახელობითი ოქროსა და ვერცხლის მედლები დამზადდა. სახელისა და გვარის გარდა მათზე მითითებულია შესაბამისი წელი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საორგანიზაციო შტაბის საგანგებო შეხვედრა გაიმართა, სადაც განხილული იქნა გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, როგორც შინაარსობრივი, ასევე ლოჯისტიკური.

საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე. შტაბის შემადგენლობაში არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს წამყვანი დეპარტამენტების ხელმძღვანელები, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიის, „ენერგო-პრო ჯორჯიას“, „მაგთიკომის“ და „თელასის“ წარმომადგენლები.

პროცესში ჩართულმა შტაბის თითოეულმა წევრმა, დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, იმ შესრულებულ სამუშაოებზე ისაუბრა, რომელიც მისმა უწყებამ თუ ორგანიზაციამ უკვე განახორციელა და რასაც მომავალში გეგმავს.

ანალოგიური სამუშაო შეხვედრები, რომლის მიზანია საგამოცდო პროცესი მაღალ დონეზე, ხარვეზებისა და შეფერხებების გარეშე წარიმართოს, გამოცდების პერიოდშიც გაიმართება, შეჯამდება და შეფასდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობა და შედეგები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესცენტრი

„ახალი განათლების“ წიგნის თაროზე

სიახლე!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
20 სექტემბრამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეგროვნიერთდროიდ!

სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295-80-23, 8790 958023, 555 411668, 555 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.